რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდ

სამშაბათი, 16 (3) აპრილი 1918 წ.

ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 76 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 76

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".
ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

გულ დათუთქული დედა ნინო, დები ოლა და მაშო, ძმები: ლადო, პეტრე, პავლე და ირაკლი, ბიძები: გაბრიელ, ერმალო და გიგო შანიძეები ცოლ-შვილითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 30 მარტს ნაშუადღევის სამ საათზე, ხანმოკლე მაგრამ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

** იასონ (სამსონ) ბესარიონის ძე შანიძე**

გამოსვენება დღეს, სამშაბათს, დილის 9 საათზე, ბინიდან (მლეთის შესახვევი, № 9). ქაშვეთის ეკლესიაში. წირვის შემდეგ წასვენება და დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2—2

მეუღლე თამარა მოსეს ასული გეგეჭკორისა, ძმა სერაფიონი კონსტანტინეს ძე გეგეჭკორი მეუღლით და შვილებითურთ, სიმამრი მოსე ლუარსაბის ძე და მისი მეუღლე მარიამი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ სამშაბათს 3 აპრილს დილის 10 საათზე წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

პეტრე კონსტანტინეს ძე გეგეჭკორის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
ყოველგვარ ავათმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით
მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ. (24—12)

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57: აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეგრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით. ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი
ვ. ვ. კლდიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
შინაგან საბავშვო, საპებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

მანიფესტი
ამიერ-კავკასიის სეიმისა
ამიერ-კავკასიის ერებისადმი

ამიერ-კავკასიის ერებო!

დაჰკრა საათმა, როდესაც სწყდება ჩვენი საერთო სამშობლოს ბედი.

თქვენ უკვე იცით, თუ რა გვარი მოთხოვნები წამოგვიყენა ჩვენ ოსმალეთის მთავრობამ.

ჩვენგან მოითხოვდენ გვეცნო ბრესტლიტოვსკში დადებული ხელშეკრულობა, რომელიც ამიერ-კავკასიის ერების დაუკითხავად იქმნა შეკრული. ეს ის ხელშეკრულობაა, რომელსაც რუსეთში ამ ჟამად არავინ არ სცნობს, ვისთვისაც კი ძვირფასია თავისუფლება და სამშობლოსადმი პატივცემა.

ჩვენგან მოითხოვდენ ჩვენს საუკეთესო ციხე-სიმაგრეს ყარსს და ჩვენს საუკეთესო ნავ-საყუდელს ბათუმს.

ჩვენგან მოითხოვდენ სამი ოლქის—ყარსის, არდაგანის და ბათუმის დაცლა-განთავისუფლებას.

ჩვენ ყოველივე ვიღონეთ, რომ მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებით მოგვეგვარებია საქმე, რომ ოსმალეთის მთავრობას უარეყო თვისი მოთხოვნანი. მივისწრაფოდით რა ზავისაკენ, ჩვენ დავსთანხმდით უდიდეს მსხვერპლზე და დათმობაზე. ჩვენ განვუცხადეთ ოსმალეთს, რომ მზათა ვართ დავთმოთ ყველაფერი,—არდაგანი და ყარსიც კი, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო უარი გვეთქვა ბათუმზე, რომელიც ზღვით ერთად ერთი კარია ჩვენთვის, რომლიდანაც ერთად ერთი გზა მიდის ჩვენი მხარიდან ევროპაში და გვაერთებს ევროპის კულტურასთან. და მთელი ჩვენი ძალ-ღონე, რომ დავა მშვიდობიანის გზით გაგვეთავებია, დაამსხვრია ოსმალეთის ჯიუტობამ.

ოსმალეთი დაჟინებით იცავს თავის პირვანდელ მოთხოვნებს. მისი მიზანია მოსწყვიტოს ამიერ-კავკასია გარეშე ქვეყანას, დაახრჩოს და დაამონავოს ის. ამ მიზნის მისაღწევათ ოსმალთა ჯარები შემოტევას აწარმოებენ. ამ ჯარების შეჩერება ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იარაღით.

ჩვენ წინ ასეთი საკითხი დადგა: განვაგრძოთ თუ არა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება იმ დროს, როცა მისი ჯარები ჩვენი ქვეყნის შუაგულისაკენ მოიწევენ, თუ შევსწყვიტოთ ყოველგვარი მოლაპარაკება და იარაღს მივანდოთ ამიერ-კავკასიის თავისუფლების დაცვა?

ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დაწყებისთანავე ჩვენ ვამბობდით: ამიერ-კავკასიის ერებს ზავი სწყურია, მაგრამ ეს ერები არ დასთანხმდებიან ეს ზავი იყიდონ მონობისა და შერცხვენის საფასურით.

ახლა ჩვენ ამოსარჩევათ გვაქვს: სამარცხვინო ზავი და მონობა, თუ ომი?

სამშობლოსა და მომავალ თაობათა წინაშე ჩვენი დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით ჩვენ შეურყევლათ ვარჩიეთ:

სამარცხვინო ზავს ჩვენ ხელი არ მოვაწეროთ.

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან შეწყვეტილია.

ამიერიდან ჩვენ შორის დავას გადასჭრის იარაღი ბრძოლის ველზე.

და ამ საათში მოგმართავთ თქვენ, ვინაიდან თქვენზე, თქვენს მამაცობაზე, თქვენ მიერ გაჭირვების ატანაზე და მსხვერპლის გაღებაზეა დამოკიდებული თქვენი და თქვენი შვილების მომავალი.

მოქალაქენო! ნუ თუ მთელ რუსეთთან ერთად იმიტომ დავამსხვრიეთ მეფის უღელი, რომ ოსმალეთის დამონებულ პროვინციათ გავმხდარიყავით?

გლეხებო! განა იმიტომ მოგცა თქვენ მიწა რევოლიუციამ, რომ ჩვენმა დამპყრობელმა ოსმალეთმა ეს მიწები ახალ მემამულეებს მიასაკუთროს?

მუშებო! განა იმისთვის ააფრიალეთ თქვენ რევოლიუციის დროშა, რომ ის ტალახში ამოსვაროს დამპყრობელის ფეხმა?

სახელის გატეხა და მონობა, ან ომი—სხვა გამოსავალი გზა ჩვენს წინაშე არ არის. დეე იმ მრისხანე საშიშროების წინაშე, რომელიც თავს ადგია ჩვენი ქვეყნის ყველა ერებს, დავიწყებულ იქნას ყოველგვარი დავა, შური და უთანხმოება, რაიც ჩვენს რაზმებს დღემდე აგრე ანცალკევებდა.

საუკუნო მონობის ყულფი აქვს გადაცმული კისრად ჩვენი ქვეყნის ყველა ერებს. დეე მტრის შემოტევა ჩვენმა მტკიცე გადაწყვეტილებამ დაამსხვრიოს, რომ ამოდენა შთამომავლობათა სისხლით მორწყულ ჩვენს მამულს ბოლომდე დავიცავთ.

ყველამ იარაღს მოჰკიდეთ ხელი!

ყველა გაეშურეთ ფრონტისაკენ!

გამოდით ყველანი თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად!

ამიერ-კავკასიის სეიმი.

ბათუმი

ჩვენ ზავს ვაწარმოებდით, მტერი კი მუხანათურათ თოფ იარაღს აჩხარუნებდა. ჩვენ სამეზობლოთ ვუწვდიდით ხელს, მტერი კი ამ დროს შინაურებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებდა. ჩვენ გვინდოდა დემოკრატიულათ გვემოქმედნა, მტერი კი ფაშების პოლიტიკას აწარმოებდა.

და აი შედეგი: ჩვენ იძულებული გავხდით საზავო მოლაპარაკება შეგვეწყვიტა, რადგან მტერი მხოლოდ გვატყუებდა და თან ისეთ პირობებს გვიყენებდა, რომელიც ჩვენთვის მიუღებელი იყო. ჩვენ სასირცხვო ზავს—ვარჩიეთ უზავოთ დარჩენა.

მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ დაუყონებლივ იმდენი ძალის გამოჩენა არ შეგვეძლო, რამდენიც საჭირო იყო. ჩვენ კიდევ გავაგრძელებდით მოლაპარაკებას, რომ მტერს ყელში დანა არ დაეჭირებია. მაგრამ ასეთ პირობებში მხოლოდ იმას შეუძლია მტერს გაუღიმოს, ვისაც ადამიანური გრძნობა თავისი ღირსების შეგნებისა დაკარგული აქვს. ჩვენ ეს არ შეგვეძლო. და საუკეთესოთ დავინახეთ ხალხს გაეგო, რომ ოსმალეთი მას დამონებას უქადის და არა მეზობლობას.

ბათუმის წაღება—ერთი ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

საზავო მოლაპარაკების დროს მოიპარებოდა მტერი ამ ციხე-სიმაგრისკენ. ზავის ბურუსში გახვეული ჩვენი ჯარი არ თვლიდა საბოლოოთ მხოლოდ და მხოლოდ იარაღზე დაყრდნობის საჭიროებას. იგი თითქოს ელოდა კიდევ მოლაპარაკებისგან რაიმე გამოსავლის მონახვას, რომ ძმათა სისხლი არ დაღვრილიყო.

მაგრამ ოსმალეთის ფაშებს ძმათა სისხლის ღვრა არასოდეს არ შეზარებიათ. იგინი სულ ასეთ სისხლში სცურავდენ და დღესაც სურთ იცურაონ. მათ მოუსიეს თავის ჯარი ბათუმს და იგი აიღეს. ჩვენმა ჯარმა საუბედუროთ ვერ გაუწია შესაფერი წინააღმდეგობა. იგი ვერ მიხვდა მთელ იმ საშინელებას, რომელიც ბათუმის დაკარგვით მოელოდა მას. მტერი ახლა უფრო გათამამებული და წაქეზებული წამოიწევს წინ. იგი ახლა მეტის ულმობლობით მოედება ჩვენს მიწა-წყალს. ბათუმის დაკარგვით, ჩვენ დავკარგეთ ციხე-სიმაგრე, დავკარგეთ სავაჭრო ბოლოზი, დავკარგეთ ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი აკვანი; მაგრამ არ დაგვიკარგავს სული თავისუფლების, არ დაგვიკარგავს ადამიანური გრძნობა პროტესტისა მოძალადეების წინააღმდეგ, და ჩვენ უნდა განვაგრძოთ ისევ ძალების მოკრება.

სამწუხაროა, მაგრამ უტყუარი ფაქტია ის, რომ დემოკრატიას ხშირათ ესაჭიროება თვალსაჩინო მაგალითი, რომ მან შეიგნოს მთელი შინაარსი და აზრი მის თავზე მოსულ საფრთხისა. დღეს, ბათომის დაკარგვა ყველა დემოკრატს, უკანასკნელ შეუგნებელ პირსაც კი აგრძნობინებს, რომ შემოგვესია ისტორიული მტერი ქართველი ხალხის, დაუძინებელი მოწინააღმდეგე დემოკრატიის, მოსისხლე მებრძოლი კულტურის, განათლების და წინმსვლელობის წინააღმდეგ, შემოგვესია შეუბრალებელი ოსმალეთი თავის ველურობით, სისასტიკით ხალხის წამებით სახელგანთქმული...

და ვინ იქნება ისეთი, რომ მას ქედი მოუხაროს, წინ დაუჩოქოს „თავის წასაჭრელათ?

განა მოიძებნება ისეთი შვილი ხალხისა, რომელიც ამ განკითხვის დღეს არ დაივიწყებს ყოველსავე პარტიულ, ფრაქციულ და სხვა განსხვავებას, რომ შემოსეულ მტარვალისაგან იხსნას თავის მიწა-წყალი, ოჯახი, ხალხი?

ნუ თუ ასეთი მოღალატე, ასეთი იუდა აღმოჩნდება ჩვენ შორის?

მაშ ყველამ იარაღისკენ!

ყველანი ბრძოლის ველისაკენ!

თავისუფლება და ხალხი მოითხოვს ამას!

მტარვალი შემოგვესია

ოსმალეთის მტარვალი მთავრობა შემოგვესია და ცეცხლითა და მახვილით ჩვენს ავლა-დიდებას ანადგურებს. დიდი ხანია ჩვენი საზღვრები გადმოლახა. დასავლეთ-აღმოსავლეთიდან შემოიჭრა და ამიერ-კავკასიის დაპყრობის საქმეს შეუდგა. აიღო სარაყამიში, დაიჭირა არდაგანი. მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ საზავო მოლაპარაკება არ შეწყვეტილიყო, მტრის ჯარი სამხედრო მოქმედებას განაგრძობდა და ბათუმის მიდამოებს ზარბაზნის ყუმბარებს უშენდა. ისტორიამ არ იცის ასეთი ცინიზმი. ჩვენ ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას ვაწარმოებდით და იგი ჩვენი ტერიტორიის შიდა გულში მოიწევდა. ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურმა მთავრობამ ყოველი ზომა იხმარა საქმე მორიგებით გათავებულიყო, მაქსიმუმის დათმობის გზაზედაც წავიდა, მაგრამ ენვერ-ფაშას ავანტიურა ამითაც არ დაკმაყოფილებულა და იგი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის განხორციელებას მოითხოვდა.

ამის მერე საზავო მოლაპარაკება უაზრობა იყო და ჩვენმა მთავრობამ სეიმის სურვილისამებრ სამშვიდობო დელეგაცია ტრაპიზონიდან უკან გამოიწვია. სამშვიდობო დელეგაციის უკან გამოწვევა და სამშვიდობო მოლაპარაკების შეწყვეტა ომის წარმოების დაწყებას ნიშნავს და ოფიციალურათ ჩვენსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო. ბათუმს მომდგარი მტერი ენერგიულათ შეუდგა თავისი დაპყრობითს პოლიტიკის სისრულეში მოყვანას.

მოქალაქენო! ჩვენი ქვეყანა განსაცდელშია, მტერი ჩვენს კულტურას, ჩვენს ეკონომიურ კეთილდღეობას, ჩვენს თავისუფლებას ემუქრება და სერიოზულათ განუზრახავს თავისუფალ ხალხს მონობის უღელი დაადგას. რევოლიუციისა და თავისუფლების ბუდე, ჩვენი მომავალი ეკონომიური ცხოვრების აკვანი—ბათუმი ოსმალეთის ჯარმა უკვე ხელში ჩაიგდო, ბათუმში ოსმალეთის დესპოტიზმის ბაირაღი ააფრიალეს და შიდა საქართველოსაკენ განაგრძობენ წინ სვლას. მდგომარეობა სერიოზულია. ასეთი საფრთხე ჩვენს ქვეყანას დიდი ხანია არ განუცდია. თავისუფალო ხალხო, მტერი ჩვენს კარმიდამოებში იჭრა და ყველაფერს აოხრებს. თავისუფალი ხალხი ასეთ ძალმომრეობას შეურიგდება, ფაშების წინაშე ვე[illegible] მოიჩოქებს და მას ნებას არ მისცემ[illegible] ტონათ გაიხადოს.

ჩვენ ომი არას დროს არ გვდომ[illegible] და მისი მომხრე არა დროს არ ვყ[illegible]ფილვართ. მაგრამ, როცა მტერი შემოგვესევა ჩვენ მოვალენი ვართ ქუდზე კაცი გამოვიძახოთ და მტარვალის თავდასხმა მოვიგერიოთ. საერთაშორისო პროლეტარიატის საუკეთესო ბელადი ბებელი ამბობდა: როცა მტერი შემოგვესევა პირველი მე წამოვიკიდებ ზურგზე თოფს და იარაღით ხელში შევებრძოლებიო. როცა იგი ამას ლაპარაკობდა, მხედველობაში უმთავრესათ რუსეთის დესპოტიური მთავრობა ქონდა და ისიც ასე მედგრათ მოუწოდებდა გერმანიი[illegible] პროლეტარიატს საერთო მტრის წინააღმდეგ.

მერე განა ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ხალხი ასეთ მტრის წინაშე სდგას? განა თქვენ არ იცით, თუ ვინ შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში? აღმოსავლეთის დესპოტიური და ჯალათების მთავრობა ოსმალეთის [illegible] დაგვესხა და ჩვენს ფიზიკურსა და [illegible]ტურულ არსებობას საბოლოოთ ემუქრება. რომელი ხალხი, რომელი დემოკრატია იქნება ესეთ მტრის წინაშე ქედი მოიხაროს და მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არ გაუწიოს.

ჩვენ გულს ნუ გაგვიტეხს პირველი დამარცხება. ყოველ მებრძოლ ჯარს თან სდევს დამარცხებაც და გამარჯვებაც. საბოლოოთ იმარჯვებს ის, ვინც ძალებს მოიკრებს და მტრის წინაშე [illegible] მოიხრის. ნაპოლეონი ამბობდა: [illegible] ომში ჯარის გამარჯვება უმთავრესათ მორალურ სიძლიერეზეა დამოკიდებული და ჩვენც ეს გვამხნევებს, რომ ამიერ-კავკასიის თავისუფალი დემოკრატია მტარვალის წინაშე გულს არ გაიტეხს და პირველი მარცხის შემდეგ გაასკეცებულ ენერგიით შეუდგება მის დამარცხებას. თავისუფალი ხალხი, დემოკრატიული ქვეყანა ფაშებისა და სულთანის წინაშე იარაღს არ დაყრის და მათ დესპოტიზმს არ შეურიგდება. მაშ მოვიკრიბოთ ძალა, დიდმა და პატარამ იარაღი ხელში ავიღოთ, თოფითა [illegible] ვილით მტერს გაუმკლავდეთ და [illegible] ბოლოვოთ გული გაუგმიროთ. [illegible] რიას არ ახსოვს, რომ ველურმა, [illegible] ტურო ხალხმა, ამასთან ნახევრათ [illegible] ლავში ჩასვენებულმა ოსმალეთმა [illegible] ფალი ხალხი, კულტურული ერები [illegible] ყროს და ამათ მონობაზე მომაკვდ[illegible] სული დაიბრუნოს. ამას არ შეურიგდ[illegible] ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური დ[illegible]მოკრატია და მტარვალს არ გაესრესინება. ყველა ბრძოლის ველისაკენ, ყველა ოსმალეთის დესპოტიზმის წინააღმდეგ!

ბათუმი
(ისტორიული ცნობა)

თუმცა ბერლინის ტრაქტატის ძალით 1878 წლის ომის შემდეგ „ბრწყინვალე პორტა რუსეთის იმპერიას უთმობდ[illegible] აზიაში არტაანის, ყარსის და ბათუმის ტერიტორიას ბათუმისავე ნავსაყუდელით", მაგრამ იმ ხანებში ბათუმში მყოფი ოსმალეთის წარმომადგენელი ფაშა სხვადასხვა მომიზეზებით ქალაქის რუსეთისთვის გადაცემას აჭიანურებდა.

ის ყოველ გვარ ზომებს ხმარობდ[illegible] რომ რაც შეიძლება მეტი მცხოვრებ[illegible] გაეხიზნა ბათუმიდან ოსმალეთში.

ძალით აჯენდენ ოსმალეები [illegible] ქალებს, ბავშვებს იმ მოსაზრებით [illegible] ამის შემდეგ მამაკაცები ცოლ[illegible] არ დაშორდებოდენ და ოსმალეთში გადასახლდებოდენ.

დაბოლოს, როცა 1878 წელს, 25 აგვისტოს, რუსეთის ჯარი შედიოდა ბათუმში, ოსმალეთის ჯარის ნაწილები, ბათუმში დარჩენილნი, სხდებოდენ გემზე, შორდებოდენ ბათუმის ნაპირებს და მიემგზავრებოდენ ოსმალეთში.

ბათუმი ამ 40 წლის წინად ჩვენს ჯარს არ აუღია. პირიქით, 18 იანვარს 1878 წელს ნაშუაღამევის 3 საათზე ცი[illegible] ძირზე მიტანილი იერიშის შემდეგ [illegible] ნებმა უკან დაიხია, მიუხედავათ იმ[illegible] რომ სხვა ადგილებში ისეთი გასაჭ[illegible] ადგა ოსმალეთს, რომ ბათუმიდან [illegible] ჯარი წაეყვანა.

ჩვენს 14 ბათ. ჯარს („გურიის რა[illegible]

რომელიც აქ იერიშით მიდიოდა, დიდი ზარალი მიაყენა ზღვიდან ოსმალთა 4 ჯავშნოსანმა. აქ ჩვენ მოგვიკლეს 44 აფიცერი და 1260 სალდათი, ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია და სამი დღის შემდეგ ცნობაც მოვიდა ომის შეწყვეტის შესახებ..

აუღებელი ბათუმი ბერლინის სამშვიდობო კონგრესმა მაინც ჩვენ გვაჩუქა.

ამრიგათ, 1878 წელს ბათუმი რუსეთმა ვერ აიღო, მაგრამ მაინც რუსეთს დარჩა...

1918 წელს 31 მარტს, გვაუწყეს, თფილისში ცნობა მოვიდა ჩვენმა ჯარმა ვერ შეინარჩუნა ბათუმი, ის მტერს დაუტოვა.

მაგრამ ეს ამას არ ნიშნავს, რომ თუ მი 31 მარტს მტერს ჩაუვარდა, ის სამუდამოთ დაკარგულია ვის.

რა თავი დაიწნებოთ იმაზე ფიქრს, როგორ დატრიალდება საქმე მო ლ სამშვიდობო კონგრესზე. მოვი ოთ ის ადგილები, რომელიც ჩვენმა მა, გურიის რაზმად წოდებულმა დღი ნ ომის გამოცხადებისა, (12 აპრილი 877 წ.) მდ ჩოლოქზე გადასვლის შემდეგ მუხა-ესტატეს, ციხის ძირის და სხვა პოზიციებამდე გაიარა.

პირველ დღეს მდ. ჩოლოქზე გასვლიდან ჩვენმა ჯარმა მხოლოდ 12 ვერსის გავლა შესძლო.

13 აპრილს სოფ. ლეღვასთან ჩვენი 9 ბათალიონი და ორი ასეული 16 ზარბაზნით იერიშით მივიდა მტერზე. მიუხედავათ ოსმალთა სასტიკი წინააღმდეგობისა, ჩვენმა ჯარმა დიდი ზარალის შემდეგ მიაღწია მუხა-ესტატეს პოზიციებს.

აქ ჩვენი ჯარი სანგრებში გამაგრდა —კანდიდის და ხუცუბანის მაღლობები იერიშით აიღო. აქ ციხის ძირს და ჩვენს ჯარს შორის იყო მხოლოდ სამების მთა-გრეხილი. 16 მაისს მცირე ძალით ჩვენმა ჯარმა გარეკა ოსმალები ამ მაღლობიდან და იქ გამაგრდა.

აქედან დაიწყო მზადება ციხის ძირის ასაღებათ.

11 ივნისიდან ჩვენი ჯარი ზარბაზნების დასაშენათ ემზადებოდა ციხის ძირისთვის, რომელიც შემდეგ იერიშით უნდა აეღო.

ვინაიდან ჩვენი პოზიცია სამების მთაზე დაფარული იყო გაუვალი ტყით, ვეებერთელა ხეებს ძირი მოუხერხეს და შემდეგ არტილერია აამუშავეს. წაქცეული ხეების ხმას ზარბაზნების გუგუნი უერთდებოდა ორივეს მხრით. დილის 6 საათზე დაწყებული საარტილერიო ბრძოლა 9 საათზე შესწყდა. მტრის არტილერია ჩააჩუმეს ჩვენებმა, მაგრამ საქმე უნდა დაემთავრებია ქვეით ჯარს. მას უნდა იერიშით აეღო მტრის მიერ დაკავებული მაღლობები. ამისთვის ჩვენი ჯარი მაღლობიდან ძირს უნდა დაშვებულიყო და მტრის დასანახათ გაშლილ მინდორზე გასულიყო მდ. ნ. კინტრიშში. ეს ადვილი საქმე არ იყო. აქ ჩვენ მოგვიკლეს 855 სალდათი და 29 აფიცერი. ღამით 17 ივნისს ჩვენმა ჯარმა დასტოვა სამების პოზიცია და დაიხია მუხა-ესტატეს პოზიციაზე. ამის შემდეგ 4 თვე იყო ჩვენი ჯარი გამაგრებული მუხა-ესტატეს პოზიციებზე და მხოლოდ 18 ანვარს კვლავ მივიდა იერიშით, მაგრამ ეორეჯერაც უნაყოფოთ.

ამ ჟამად—გულის გატეხა, რაც არ ნდა მოხდეს, ლაჩართა წესია.

ყველამ პოზიციისკენ გაეშურენით!

გახსოვდეთ ციხის ძირის, სამების, კანდიდის, ხუცუბანის, მუხა-ესტატეს, ლეღვას პოზიციები!

მდინ. კინტრიში, ჩოლოქი...

ეს ის პოზიციებია, სადაც ჩვენმა მამა-პაპებმა იმდენი ომი გადაიხადეს.

ჩვენც, ჩვენ წინაპართა ხსოვნას პატივი ვსცეთ ამავე პოზიციებზე, და მთელი ჩვენი ძალით შევეცადოთ სამშობლოს, თავისუფლებისა და რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებას.

მაშინ ბათუმი სხვისი იყო და ჩვენ მივიღეთ.

დღეს ბათუმი ჩვენი იყო, ჩვენი—ეკონომიურათ, კულტურულათ, გონებრივათ, მცხოვრებლების მიხედვით, ერთი სიტყვით, იგი დემოკრატიის აკვანი შეიქნა. და ამ აკვანისთვის ერთი ორათ მეტი ძალით უნდა ვიბრძოლოთ...

ძვირფასო ბათუმო, ნახვამდის...

შენ, ყვარდი ჩვენს დემოკრატიას, როგორც გამზრდელი დედა. შენ უმღეროდი მას, ნორჩს და ცელქს. ღამეებს ატარებდი მისი აკვნის წინ. აუარებელ შრომას ხარჯავდი, თავს არ იზოგავდი და მას, უკვე დავაჟკაცებულს, სიამით და დედური სიამაყით შესცქეროდი. შენს შვილს იცნობდა მთელი კაცობრიობა. მის ვაჟკაცურ მოქმედებას პატივცემით შეჰყურებდა. მტერს გული უკვდებოდა, მეგობარი ხარობდა, შენთან ერთად იზიარებდა დედურ სიამაყეს.

შენი გაზრდილი დემოკრატია მტკიცედ იცავდა აკვანშივე შესისხლხორცებულ დედის დავალებას და ებრძოდა იმას, ვინც მოინდომებდა მის შეურაცყოფას. ბევრი ჭრილობის შემდეგ, რომელიც მას მიაყენა ურიცხვმა მტრებმა, ის მაინც მედგრად იდგა თავის ადგილზედ და ქედს არ იხრიდა. დემოკრატია იქანცებოდა განუწყვეტელ ბრძოლაში, მტერს კი ახალი ძალები ემატებოდა.

უკანასკნელად შეგეჯახა, რევოლიუციის დედაქალაქო, ოსმალეთის რეაქცია. ძველი კონსტანტინოპოლი, რომელსაც ახსოვს და დაუგროვებია თავის წიაღში ბიზანტიის დესპოტია და მამელიუკების ფარ ხმალი, გერმანიის მილიონერების უჯრები და მთელი ევროპის ფინანსისტების აგენტები დაიძრა ახალგაზდა ბათუმის წინააღმდეგ. ბარცხანის ქუჩებში რეაქცია დაეჯახა რევოლიუციას და უკანასკნელი დაამარცხა. დემოკრატიის ბანაკში გლოვის ზარი ისმის. რეაქციის ბანაკში დღეს ნადიმია გამართული.

ამიერ-კავკასია მოწყდა მთელს ევროპას. მტრებს გადაწყვეტილი აქვს მას უბრუნოს პირი ნახევრათ ველურ აზიისკენ. საქართველომ დაკარგა თავისი მარგალიტი, მისი მომავლის იმედი და სასოება. დავკარგოთ იმედი? განვაგრძოთ ოხვრა-ტირილი? არა. დღეს არ წყდება მთელი დემოკრატიის ბედი. ის ბევრჯერ დამარცხებულა, მაგრამ ისევ ფეხზე წამომდგარა და გაორკეცებული ენერგიით მიუტანია იერიში მტერზე. მომავალი ეკუთვნის მას, ვინც იმედს არ დაკარგავს; მომავალი ეკუთვნის მას, ვისაც სიკვდილი არ სურს. ამ უბედურების დროს ნუ დავკარგავთ იმედს. საბოლოოთ გაიმარჯვებს არა კონსტანტინოპოლი, არამედ ბათუმი. არა შავი რეაქცია, არამედ რევოლიუციონური დემოკრატია.

ნახვამდის, ბათუმო!

ბ. თეკლათელი.

იძულებითი ომი

ტრაპიზონში დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდა. ამიერ-კავკასიის სეიმმა 31 მარტის საგანგებო სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ ერთხმათ დაადგინა: „გამოიწვიოს ტრაპიზონიდან სეიმის მიერ გაგზავნილი სამშვიდობო დელეგაცია".

ოსმალეთის დესპოტიურმა მთავრობამ ერთის მხრით „სამშვიდობო" დელეგაცია გამოგზავნა ტრაპიზონში ამიერ-კავკასიასთან ზავის შესაკვრელათ, მეორეს მხრით კი ოსმალეთის ჯარების მთავარ-სარდალი ვეხიბ-ფაშა მთელი თავისი ძალებით აწვებოდა ამიერ-კავკასიის საზღვრებს. რამდენიმეთ ეს მიზანი მან თითქმის კიდევაც განახორციელა.

ამიერ-კავკასიის დემოკრატია დარწმუნებული იყო, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება უკვე სწარმოებდა და ზავი შეიკვრებოდა, მით უმეტეს, რომ ამიერ-კავკასიის სეიმმა ოსმალეთს დაუთმო, რისი დათმობაც კი შეიძლებოდა.

ამიერ კავკასიის დემოკრატიის ნების გამომხატველი მთავრობა ყოველივე ღონეს ხმარობდა, რომ რუსეთის იმპერიალისტების მიერ დაწყებული უმაგალითო ომი, რომელიც უკანონო შვილათ დაჰყვა რუსეთის დიდ რევოლიუციას, როგორმე დაემთავრებინა, და დაემთავრებინა ისე, რომ მომავალი ამიერ კავკასიის დემოკრატიის კულტურული და ეკონომიური განვითარება არ შეფერხებულიყო. ამ რიგათ ამიერ-კავკასიის სეიმის პირველი სიტყვა ოსმალეთთან ზავის შეკვრა იყო, რაც უზრუნველყოფდა ორივე მხარის დემოკრატიის მშვიდობიან და კეთილ განწყობილ ცხოვრებას. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ოსმალეთის სატრაპებმა ამ ჩვენ კეთილ სურვილს ანგარიში არ გაუწიეს და დიდი ხნის ორპირული პოლიტიკის წარმოების შემდეგ, ჩვენს სამშვიდობო დელეგაციას ულტიმატუმი წამოუყენეს, რომლითაც მოითხოვდენ ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობის ასრულებას.

ამიერ კავკასიის მთავრობამ, სეიმის ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთათ იქონია რა მსჯელობა ზემოხსენებულ ულტიმატუმის შესახებ დაადგინა: დაუთმოს ოსმალეთს ყარსი და არდაგანი, ხოლო ბათუმი, როგორც ერთათ ერთი გზა ამიერ-კავკასიისთვის ზღვაში გასასვლელი დარჩეს ამიერ-კავკასიას. ეს დადგენილება ეცნობა ჩვენს დელეგაციის თავმჯდომარეს, რაც ოსმალეთის იმპერიალისტებმა არ მიიღეს და მით უკანასკნელი საშუალებაც მოსპეს ზავის შესაკვრელათ. ყარსის და ბათუმის ხელში ჩაგდების შემდეგ ოსმალეთი შეუდგება მთელი კავკასიის ხელში ჩაგდებას. ასეთ პირობებში ამიერ-კავკასიის სეიმისა და მთავრობის ვალდებულება იყო შეეწყვიტა ოსმალეთთან ყოველივე საზავო მოლაპარაკება და ოფიციალურათ გამოეცხადებია ოსმალეთისა და ამიერ-კავკასიის შორის საომარი მოქმედება, რომელიც ოსმალეთის მხრით დიდი ხანია ფაქტიურათ არსებობდა.

სეიმმა 31 მარტს საღამოს საგანგებო სხდომაზე ეს კიდევაც დაადგინა. სეიმის, თითქმის ყველა ფრაქციების წარმომადგენლებმა ფიცი დასდეს, რომ მთელი თავის ძალღონით დაეხმარონ ამიერ-კავკასიის მთავრობას ამ მეტათ მძიმე და პასუხსაგებ მოვალეობის პირნათლათ შესრულებაში. აღსანიშნავი იყო კადეტ სემიონოვის სიტყვა, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: ამიერ კავკასიის დემოკრატია ოსმალეთის ჯარების შემოსევისაგან თავის დაცვით აკეთებს არა მარტო თავის საქმეს, არამედ მთელი რუსეთის დემოკრატიის, რომელსაც სურს წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიის იმპერიალიზმს, მაგრამ ამისათვის მას არ აქვს ორგანიზაცია და ეს ორგანიზაციული სახე მან ამიერ-კავკასიის დემოკრატიისაგან უნდა მიიღოსო. ორატორმა ადგილობრივ რუსთა ნაციონალურ საბჭოს სახელით აღუთქვა ამიერ-კავკასიის მთავრობას, გადასცეს მას საბჭოს განკარგულებაში მყოფი ყველა ძალები. ესერების დეპუტატმა ლორთქიფანიძემ მოაგონა სეიმს ესერების ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოცემული მოწოდება, რომლითაც მოუწოდებენ რუსეთის ყველა შეგნებულ რევოლიუციონერს და ჭეშმარიტ დემოკრატს დაეხმარონ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ამ პასუხსაგებ მომენტში. ამ რიგათ მთელი შეგნებული რუსეთის დემოკრატია, რომელთაც სწამთ რევოლიუცია და თავისუფლება, ამიერ-კავკასიის მხარეზეა და მას დახმარებას გაუწევს ამ იძულებითი ომის წარმოებაში. ამიერ კავკასიის მხარეზეა საფრანგეთის და ინგლისის პროლეტარიატის თანამგრძნობა, რომლებიც მედგრად უმკლავდებიან რუსეთის ფრონტზე განთავისუფლებულ გერმანიის დიდძალ ჯარებს და იცავენ სამშობლოს და თავისუფლებას გერმანიის იმპერიალიზმისაგან. ამას ამტკიცებს ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარის სახელზე გამოგზავნილი დეპეშა საფრანგეთიდან სოციალისტ დეპუტატების, კოშენისა და ჟუხოს მიერ. დეპუტატი კოშენი თავის დეპეშაში სხვათა შორის აღნიშნავს, რომ „როდესაც მტერი ცეცხლს აძლევს საგრძნობ ნაწილს ჩვენი ტერიტორიისას, მაშინ ფრანგებს არ შეუძლიათ ქონდეთ სხვა მისწრაფება, როგორც ნაციონალური თავდაცვა"-ო. ამით საფრანგეთის სოციალისტები მოუწოდებენ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას მათაც დაიცვან სამშობლო და თავისუფლება. ამიერ კავკასიის დემოკრატია განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულებისა მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა დაეხმაროს მთავრობას, რომ შეაძლებინოს მას ამ მძიმე მოვალეობის პირნათლათ შესრულება.

ს. ელიაძე.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს ექვს საათზე, დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ **თფილისის გარნიზონისადმი ბრძანება.** თფილისის გარნიზონის უფროსმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ამიერიდან დეზერტირების დაჭერა უნდა მოახდინოს ქალაქის დაცვის შტაბმა შტაბის ადიუტანტის და ქალაქის მილიციის ხელმძღვანელობით. დაჭერილ დეზერტირებს სამხედრო უფროსთან გაგზავნიან. სხვას არავის უფლება არა აქვს, გარდა შტაბისა, დეზერტირები დაიჭიროს.

◆ **გურულების კრება.** 1 აპრილს შესდგა კრება თფილისში მცხოვრებ გურულების მცირე ჯგუფისა. გაიმართა თათბირი გურიის დღევანდელ განსაკუთრებულ მდგომარეობაზე. ჯგუფმა დაადგინა დაარსდეს თფილისში გურულთა თავდაცვის დამხმარე საზოგადოება. ამ მიზნით მოწვეულ იქნას სამშაბათს 3 აპრილს თფილისში მცხოვრებ ყველა გურულების კრება, რომელსაც წარედგინება განსახილველათ პროგრამა და მოკლე წესდება, რომელიც იმავე დღესვე შეიმუშავა დასახელებული ჯგუფის მიერ არჩეულმა კომისიამ. კომისია მიმართავს თხოვნით ყველა გურულს განურჩევლად მდგომარეობისა და პარტიული რწმენისა მოვიდეს დღევანდელ კრებაზე.

◆ **მძარცველების შეპყრობა.** 1 აპრილს საღამოს 12 საათზე სასადილო „ამპირში" შევიდა ჯარისკაცი ჩილაძე, მას სასადილოში მყოფი ოთხი შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხნენ და წაართვეს 600 მანეთი და რევოლვერი. მილიციონერებმა და წითელ გვარდიელებმა დროზე შეიტყვეს ეს და ოთხივე ბოროტმოქმედი დაატუსაღეს.

◆ თავდაცვის შტაბის განკარგულებით დაატუსაღეს ჯარისკაცი ნიკ. კერესელიძე და კარდიშელიძე პატრონების ყიდვა-გაყიდვისთვის. ამავე შტაბის განკარგულებით დაატუსაღეს და გადასცეს საგამომძიებლო კომისიას ჯარისკაცები ალ. კერესელიძე და გვიმარაძე მობილიზაციის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევისთვის.

◆ **მკვლელობა.** 29 მარტს საღამოს 9 საათზე 19 თებერვლის ქუჩაზე არუტინ გევორქოვმა მოკლა გაჰირ-ბაგიროღლი. მკვლელი შეიპყრეს. 31 მარტს მაცაკან სარდაქოვს თავის ბინაზე რევოლვერი გაუვარდა და შემოაკვდა თავის და ნინო.

◆ **გაფიცვა.** 2 აპრილიდან გაიფიცენ თფილისის ყველა საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურენი, გარდა სახელმწიფო ბანკის, სამეურნეო, ქალაქის ურთიერთ დამხმარე და რუსეთის ბანკების. მოსამსახურენი მოითხოვენ ჯამაგირების მომატებას.

◆ **თფილისის ტრამვაის** დირექტორი სთხოვს ქალაქის კავშირს დაამზადოს ტრამვაის მოსამსახურეთათვის ზაფხულის ტანსაცმელი.

◆ **სურამის ქალაქის** თვითმართველობამ დაადგინა გახსნას სურამში საავადმყოფო (20 საწოლით). აგრეთვე გადასწყვიტა შეისყიდოს ქალაქმა ელექტრონის სადგური.

◆ **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში, წერილი რედაქციის მიმართ, ხელმოწერილია პოლკოვნიკი დ. ქარცივაძის მიერ. უნდა იყოს **პოდპოლკოვნიკი.** და სხ.

კრებები და მიტინგები.

დღეს სამ აპრილს, საღამოს 5 საათზე შესდგება საერთო კრება მეოთხე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. ამხანაგ და თანამგრძნობ ქალთა. მეექვსე გიმნაზია, საუფლისწულო ქ. № 3.

თავდაცვა გარეშე მტრისაგან

ქუთაისი.—რადგან ჩვენს ერთად ერთ სამშობლოს ძვირფას საქართველოს საფრთხე მოელის, ჩვენ, ქართველ ებრაელთა ახალგაზრდობამ შევადგინეთ სამშობლოს დამცველი რაზმი და მზათ ვართ თავი გავსწიროთ.

რაზმის ხელმძღვანელი დათიკო შოშიაშვილი.

ყარსი—მოწინავე პოზიციებიდან ჯარისკაცები და აფიცრები თხოულობენ თამბაქოს, სპიჩკას, ქაღალდს, კონვერტს და სხვ. მოვუწოდებ საზოგადოებას არ დაიშუროს თავის წვლილი სამშობლოს დასაცველათ სადღაც შორს გადატყორცნილ სანგრებში მჯდომ ჯარისკაცებისთვის.

ქალაქის თავი ტერ-ნერსესოვი.

თფილისში მცხოვრებ გურულებს

გურულებო! ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მეცადინეობა ოსმალეთთან ზავის ჩამოგდებისა უნაყოფოთ დასრულდა. მტერი ჩვენი ქვეყნის შუაგულში შემოჭრას ლამობს. საფრთხეში ვარდება ჩვენი მომავალი. განსაკუთრებით გურიას მოელის საშიშროება, როგორც ოსმალეთის მოსაზღვრე კუთხეს. დღეს უკვე თარეშობენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე მოღალატე აჭარლები. რა იქნება მაშინ, ოსმალეთმა რომ ჩვენი დაპყრობა მოახერხოს?

გურია უკვე ჩაბმულია სამკვდრო-სასიცოცხლო-ბრძოლაში.

როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ თფილისში მცხოვრები გურულები? ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ ჩვენს ძმებს, რითაც კი შეგვიძლია. უნდა შევქმნათ გურიის დაცვის დამხმარე კომიტეტი. ამიტომ გურულების საინიციატივო კრების სახელით მოგიწოდებთ თფილისში მცხოვრებ ყველა გურულებს მოხვიდეთ საერთო კრებაზე, რომელიც შესდგება **დღეს სამ აპრილს საღამოს ექვს საათზე მუშტაიდში, დემოკრატიულ კლუბში.**

საინიციატივო კრების მიერ არჩეული კომისია.

მოვალეობის მსხვერპლნი

ბათუმი. (ჭოროხის ხეობა). დღეს გავიგე ამხ. პეტრე ჩხაიძის სიკვდილი, რამაც თავზარი დამცა. დავკარგეთ სპეტაკი, გულწრფელი, წმინდა გრძნობებით სავსე ამხანაგი, აღარ გვყავს ჩვენი სცენის მოყვარე, აღარ გვყავს ჩვენი „დიოგენი". მშვიდობით ძმაო პეტრე, შენი ხსოვნა სამუდამო იქნება ჩვენს გულში.

პ. ლესული.

პეტრე ჩხაიძის ხსოვნას.

გული მომიკლა ამხანაგ პეტრე ჩხაიძის სიკვდილმა. პეტრეს პატარაობიდან ვიცნობდი, როდესაც ერთათ ვსწავლობდით წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებელში. მის პატარა გული მაშინ იყო ხალხის სიყვარულის ცეცხლით დანთებული და შემდეგ აგიზგიზდა. ის მთელი არსებით ჩაება სახალხო საქმეში და ბოლოს ნანატრ თავისუფლების სამსხვერპლოზე მიიტანა თვის სიცოცხლე. ძნელია ასეთი წმინდა ადამიანების დაკარგვა.

ლადო საბაძე.

ამხ. დ. ტ. გაბრიჩიძის ხსოვნას.

გავიგეთ გულ დამთუთქველი ამბავი; მოგვიკლეს წითელ გვარდიელი დათიკო ტიმოთეს ძე გაბრიჩიძე. ვინც დათიკოს ახლოს იცნობდა, ვისაც გაუგია მისი სულის კვეთება, ვისაც უნახავს მისი სპეტაკი სახე, მისთვის ცხადია, თუ რა დანაკლისს შეადგენს ეხლანდელ დროს ასეთი მებრძოლის დაკარგვა... ამხ. დათიკო! შენ თავი შესწირე თავისუფლებისთვის ბრძოლას.

ჩვენ კი, შენი დარჩენილი ამხანაგები ფიცსა ვსდებთ შენი გაცივებული გვამის წინაშე, რომ ჩვენც ისე სათითაოთ შევეწირებით თავისუფლებას, როგორც შენ და არავითარ ბნელი ძალების წინაშე არ დავიხევთ.

ხაშურელი წითელ გვარდიელი ვასილ ზაქარეიშვილი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

(31 მარტის სხდომა).

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

მთავრობის თავმჯდომარე **ევ. გეგეჭკორი** აკეთებს მოხსენებას საზავო მოლაპარაკების შესახებ. 25 მარტს, ღამის 11 საათზე მივიღეთ ცნობა ჩვენი სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარესაგან, რომ 24 მარტს, საღამოს 7 საათზე ოტომანის დელეგაციის თავმჯდომარემ გადმომცა, ოტომანის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკ. შესრულებასო. ჩვენ მოვახდინეთ თათბირი სეიმის ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთათ და შევიმუშავეთ დათმობის მაქსიმუმი. 28 მარტს სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარემ გვაცნობა, რომ მას საჭიროთ მიაჩნია დასთანხმდეს ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულებას, თუ ოსმალეთი არ დაკმაყოფილდა ჩვენი მაქსიმალური დათმობითო. 29 მარტს, 12 საათზე ჩვენ ვაცნობეთ, რომ სამშვიდობო დელეგაცია იღებს ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებას და მზათ არის განაგრძოს სამშვიდობო მოლაპარაკებაო. ამის შემდეგ ოსმალეთის ჯარის უფროსმა განაცხადა, რომ იგი შეაჩერებს სამხედრო მოქმედებას, თუ ჩვენც შევწყვეტდით ბრძოლას. გუშინ ომი შეწყდებოდა. შემდეგ მოვიდა ოსმალეთის აფიცერი და მოგვთხოვა ბათუმის დაცლა, წინააღმდეგ შემთხვევაში იერიშით ავიღებთ ბათუმსო. ბათუმის კომენდატმა ეს გვაცნობა ჩვენ. ეს ცნობა ჩვენ მივიღეთ 11 საათზე, ვერ მოვასწარით მისი განხილვა და ახლა მე მაქვს ცნობა, რომ სამხედრო ოპერაციები უკვე განახლებულა. მთავრობამ დღეს განიხილა ეს საკითხი. მთავრობამ პირველ დღესვე აღნიშნა, რომ მთავარი საკითხი, რომელიც დგას მის წინაშე, ეს ომისა და ზავის საკითხია და ამასთანავე განაცხადა, რომ სამარცხვინო ზავს იგი არ შეკრავს. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესახებ ორი აზრი შეუძლებელია, მან გახადა რუსეთი გერმანიის ახალშენათ. და როცა ამიერ-კავკასიის შესახებაც ცდილობენ ამ ხელშეკრულების განხორციელებას, მთავრობა ფიქრობს, რომ ამაზე დათანხმება, ეს ქვეყნის გაცემა იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამქრალა თავისუფალ დემოკრატიის სული, ჯერ კიდევ გვაქვს თოფის წამალი და თუ ჩვენ სუსტი ვართ არა იმდენათ, რომ შეიძლებოდეს ჩვენი მონებათ გადაქცევა. ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება ამიერ-კავკასიას ოსმალეთის პროვინციათ გახდის. ამაზე მთავრობა ვერ დასთანხმდება. მთავრობა მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეებს. ეს მთავრობის მოვალეობაა, სანამ იგი სარგებლობს თქვენი ნდობით. მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რომ კონფლიქტი მშვიდობიანის გზით დამთავრებულიყო. ოსმალეთმა მოგვცა წინადადება გაგვეგზავნა დელეგაცია და ჩვენ რომ გვცოდნოდა, რომ მას ეს უნდოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დასადასტურებლათ, სეიმი ისე არ დაიმცირებდა თავის თავს, რომ მონაწილეობა მიეღო იმ კომედიაში, რომელსაც ალაგი ჰქონდა ტრაპიზონში. ჩვენ გვინდოდა დაგვენახვებია მთელი ქვეყნისთვის, რომ ომი არ გვინდოდა. ამ.-კავკ. დემოკრატია ამ შემთხვევაში გულწრფელათ მოქმედებდა. ჩვენი ლოზუნგი იყო: „ძირს ომი". ჩვენ ყველაფერი ვქენით, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. და თუ დღეს მთავრობა დგას თავდაცვაზე—ეს ჩვენი მოვალეობაა და მას შევასრულებთ პირნათლათ, რომ არ გაიქელოს ამიერ-კავკასიის სახელი და ღირსება. ამისთვის საჭიროა, რომ ყველა პარტიები შემოკრბენ რევოლიუციის დაცვის დროშის ქვეშ. მაშინ არავითარი მტერი ჩვენთვის საშიში არ იქნება (ტაში). საფრთხე თვით ჩვენს შორის არის, ვეცადოთ მის თავიდან აშორებას და მაშინ ჩვენი საქმეც გაიმარჯვებს (ტაში).

ირაკლი წერეთელი. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით უნდა განვაცხადო შემდეგი: ოსმალეთმა წარმოგვიდგინა ულტიმატუმი მიგვეღო ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება. ასეთი ხელშეკრულება ჩვენ არ ვიცით. ბრესტ-ლიტოვსკში მოაწერეს ხელი რევოლიუციონურ რუსეთის სასიკვდილო განაჩენს და ასეთ განაჩენს ჩვენი ქვეყნისთვის ჩვენ ხელს ვერ მოვაწერთ. ჩვენ დავადექით დათმობის გზას. დავუთმეთ ოსმალეთს ყარსი, არდაგანი. გვინდოდა შეგვენარჩუნებია ბათუმი—ზღვაში გასავალი ადგილი, რომ შემოსულიყო სინათლე და ჰაერი ჩვენი დემოკრატიის თავისუფალ განვითარებისათვის. და [illegible] წამოგვიყენა ულტიმატუმი ბათუმის დაცლის შესახებ, [illegible] ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ყოფნა არ ყოფნის შესახებ, მას უნდა მოსპოს ამიერ-კავკასია და ამნაირათ დგება მომენტი, როცა ჩვენ იარაღით უნდა დავიცვათ ჩვენი არსებობა. არის ომი, როცა იბრძვიან რაიმეს შესაძენათ, მაშინ საჭიროა ძალების აწონ-დაწონვა იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ სასარგებლოა ომში ჩარევა. მაგრამ არის ომი, როცა სასწორზე გამოტანილია მთელი არსებობა და აქ შეუძლებელია ძალთა აწონ-დაწონვაზე ლაპარაკი, აქ ყველა ძალები უნდა მოახმარო თავდაცვას. ბევრი ხალხი ახსოვს ისტორიას, მაგრამ ბოლომდის დარჩენ ისინი, ვინც ასეთ მომენტში მთელ ძალ-ღონეს და ყოველივე საშუალებას თავდაცვისთვისაკენ მიმართავდა. აი როგორ დგას საკითხი. და სახალხო წარმომადგენლობა არ შეუძლია იგი სხვაფერ გადაჭრას, თუ არა იმ აზრით, რომ საჭიროა თავის არსებობის დაცვა. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას რუსეთში აქვს თავისი ისტორია. იქ სრული არევ-დარევა სუფევდა და ბოლშევიკებმა მოაწერეს ხელი თავის ხალხის სასიკვდილო განაჩენს და ეს განაჩენი თვით ხალხს უნდა მოეყვანა სისრულეში. მაგრამ ხალხი არ ემორჩილება მას, სადაც კი შეუძლია. მხოლოდ ხიშტების ძალით ტარდება ცხოვრებაში ეს ხელშეკრულება და სადაც ეს ხიშტები არ არის—არ არის არც ზავი. საჭიროა რუსეთი იქცეს მძლავრათ, რომ შესაძლებელი გახდეს ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების განხორციელება. ბოლშევიკურ წრეებშიაც კი კარგავს ის ნიადაგს და სტიქიური ბრძოლა მის წინააღმდეგ თანდათან ძლიერდება. ჩვენ უნდა მთელი ძალ-ღონით ვეცადოთ დავიცვათ თავი იმპერიალისტებისაგან. ყველაზე უფრო შეკავშირებული ნაწილი ჩვენი დემოკრატიისა დგას ბათუმში, სადაც იარაღით წყდება არსებობის საკითხი. გაბრწყინილი ოსმალეთი ერთად ერთ იმედს ამყარებს შინაურ ანარქიაზე და თუ შევძლებთ ძალების შეკავშირება და მათი ფრონტზე გაგზავნა ჩვენ გავიმარჯვებთ. საჭიროა შინაური უთანხმოების დავიწყება და მტერია ის, ვინც ხელს უშლის გარეშე მტრის წინააღმდეგ ყველა ძალების მიმართვას. დებულებით უნდა ხელმძღვანელობდეს მთავრობა, მან უნდა მიმართოს ყველა პარტიებს მხარი დაუჭირონ მას. და რუსეთისაკენაც უნდა მივმართოთ ჩვენი ძ ხილი, რომ იგი დაგვეხმაროს საერთო საქმეში (ტაში) და თუ იქ, მებრძოლ სახელმწიფოთა შორის მოინახება ძალ მთავრობამ ასეთ ძალასაც უნდა მიმა თოს დახმარებისთვის. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ვაც დებ, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ მთავრობას გარეშე მტერთან ბრძოლაში ყველა ძალებით, რომელიც კი არსებობს ჩვენს განკარგულებაში. ჩვენ შევსძლებ მტრის მოგერიებას, მაგრამ დამარცხებაც რომ მოგველოდეს, ამიერ-კავკასიის დემოკრატია არაფერს დაკარგავს. აღორძინების იმედი მხოლოდ მაშინ გაქრე როცა ხელმძღვანელი წრეები თავს ანებებენ მოქმედებას. სტრატეგიულ გამარჯვების შემდეგ ხშირათ მტერი ცდილობს დამარცხებულებში ჩაჰკლა სულიც. და ამიერ-კავკასიის ხალხიც განაგრძობს ბრძოლას, სანამ არ ჩაჰკლავ მის სულს. და როცა ასე დგას საკით პარტია თვითმკვლელობას ჩაიდენდა, არ დაუჭერდა მხარს მთავრობას გარეშე მტერთან ბრძოლაში. ჩვენ ყველა ძალებს გავგზავნით ფრონტზე და შევძლებთ კიდეც გამარჯვებას, თუ ზურგიდან მოღალატურათ არ ჩაგვცეს მახვილი (ხანგრძლივი ტაში, ოვაციები.) ჩვ მივიღებთ ამ ომს, რომელიც ოსმალეთმა ძალით მოგვახვია თავზე და ვიბრძოლებთ მანამდის, სანამ არ დავიცავ თავისუფლებასა და დემოკრატიას (მქუხარე ტაში, ოვაციები).

არუტინიანცი (დაშნ.) ჩვენ რომ საქ გვქონდეს კულტურულ სახელმწიფოთან, მაშინ შეიძლება არც კი დაგვეწ ომი, მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს ოსმალეთთან, რომლის ისტორია სისხლი არის შეღებილი მაგრამ არა ჯარ სისხლით, არამედ—მშვიდობიან მცხოვრებთა სისხლით, რომლებიც მიისწრ ფოდენ თავისუფლებისაკენ. ჩვენ რ ოსმალეთის ულტიმატუმი მივიღოთ, შემდეგ შეუდგება თავის იმპერიალ ტურ გეგმის განხორციელებას, კონს ტინოპოლის ბაქოსთან შეერთებას მ ანი მუსულმანური მასსით. აქ დარ მხოლოდ ქართველები და სომხები, რამ ოსმალეთი ადვილათ მიაღწევს ვის მიზანს. აქ ის მიმართავს ნა საშუალებას—ხოცვა-ჟლეტას. ჩვენ, დ ნაკელებმა, რომლებიც ვებრძოდით მალეთს 30 წლის განმავლობაში, ქ გათ ვიცით, რომ ბრესტ-ლიტოვს ხელშეკრულების განხორციელებით დაკმაყოფილდება ოსმალეთი. მთ სომხის ხალხი დარწმუნებულია, ხსნა მხოლოდ იარაღშია. რომ და

მარცხონ კიდეც, ჩვენ მაინც განვაგრძობთ ბრძოლას, ვინაიდან სხვა გზა არ არსებობს. და თუ უნდა დავიხოცოთ, უნდა დავიხოცოთ იარაღით ხელში.

ივ. ლორთქიფანიძე, არ ეთანხმება არუთინიანს, თითქოს ბათუმისა და ყარსის დაჭერა საზარალო იყოს მხოლოდ ქართველებისა და სომხებისათვის. ეს საზარალო იქნება თვით ამიერ-კავკასიის მუსულმანთათვის (ხმები: მართალია). ეჭვი არ არის, რომ მუსულმანთა უმრავლესობა, თითქმის აჭარლებიც ოსმალეთის ორიენტაციას იზიარებენ, ამიტომ მოწინავე პარტიების მოვალეობაა აუხსნან მათ, რომ მათი ინტერესები საერთოა ამიერ-კავკასიის სხვა ხალხთა ინტერესებთან. საჭიროა მოქმედება. ვინც ჩვენს მხარეზე არ დგას, მთავრობამ იგი მოღალატეთ უნდა გამოაცხადოს (ხმები: მართალია) თუ ვინმე ფიქრობს, რომ ოსმალეთის შემოსვლით განახლდება ძველი სოციალური ურთიერთობა, დეე მათ იცოდნენ, რომ უპირველეს ყოვლისა მათ მოსპობენ. არა მარტო მუსულმანები, ამ მოსაზრებით სხვა ეროვნებათა გაბატონებული კლასებიც დაინტერესებულნი არიან ოსმალეთის შემოსვლით. ამავე დროს ჩვენ სხვებიც გვესხმიან თავს, ბოლშევიკებმა აიღეს სოხუმი და უნდა ითქვას, რომ ეს ნამდვილი ღალატია. რუსეთის დემოკრატიასაც უნდა მოუწოდოთ დასახმარებლად, უკვე არის ნიშნები, რომ რუსეთის დემოკრატია ემზადება ჩვენს დასახმარებლად. დასასრულ ორატორი მოუწოდებს ყველას, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება, ჩაეწეროს ჯარში.

რუსტამბეკოვი (მუსავატი). დადგა კრიტიკული მომენტი საჭიროა ერთსულოვნობა. ზავის საკითხში არსებობდა ეს ერთსულოვნობა, დათმობაც ერთხმათ იქნა მიღებული და იმედია შემდეგშიაც არ დაირღვევა ეს ერთსულოვნობა. ჩვენ გვინდოდა ზავი, მაგრამ ეს არ მოხერხდა. დასასრულ ფრაქციის სახელით რუსტამბეგოვი აცხადებს, ჩვენ არ ვკისრულობთ ომის პასუხისმგებლობას, მაგრამ რადგანაც ყველამ გადასწყვიტა ომის გამოცხადება, ჩვენი ფრაქციაც ყველა ძალებით მხარს დაუჭერს მთავრობას. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მუსულმანები აქტიურათ წავლენ ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ ვეცდებით ომი დასრულდეს საკეთილდღეოთ.

ი. სემიონოვი (კ.-დ.) მხარს უჭერს მთავრობის ნაბიჯს და რუსთა ეროვნულ საბჭოს სახელით აცხადებს, ყველა ძალებს, რაც კი არის საბჭოს განკარგულებაში, გადავცემთ მთავრობის განკარგულებაშიო.

ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით შეხვდენ წითელ გვარდიელების ხელმძღვანელს ვ. ჯუღელს, რომლის მეთაურობით ჩააქრეს ცხინვალის აჯანყება. ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე ფეხზე დგებიან და ტაშის ცემით ეგებებიან იმას, ვინც ასე თავგანწირვით იბრძოდა რევოლიუციონურ წესრიგის ასადგენათ.

ამხანაგებო!—დაიწყო ჯუღელმა დიახ, ამხანაგებოთქო, ვინაიდან უმთავრესათ ამხანაგების მიმართ არის მიმართული ჩემი სიტყვა, რადგანაც მხოლოდ მათ ძალას შეუძლია იხსნას ქვეყანა განსაცდელისაგან. მე არ მესმის, როცა აქ ერთი მეორესაგან ყოფენ ამიერ-კავკასიის ერებს. თუ ვინმემ უნდა განაცხადოს პროტესტი ოსმალეთის შემოსვლის წინააღმდეგ—ეს ისევ მუსულმანებმა, ვინაიდან თქვენ კარგათ იცით, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან მუსულმანები. მხოლოდ რუსეთის რესპუბლიკის საზღვრებში შეუძლიათ მუსულმანებს განახორციელონ თავის მიზნები. და როცა აქ მუსავატის წარმომადგენელი ლაპარაკობს მუსულმანების ნეიტრალიტეტზე, ცხადია ეს პარტია არ გამოხატავს თავის ხალხის ინტერესებს (ტაში). ოსმალეთის ორიენტაციას იზიარებენ სხვა წრეებიც, რომლებიც თავის იმედს ამყარებენ ოსმალეთის შემოსვლაზე. ამიტომ მუსულმანთა მასსა ჩვენთან იქნება, ისინი კი, ვინც თვითპყრობელობის დროს აღგენდა სხვადასხვა „გარეულ დივიზიებს" (ტაში). დღეს, როცა დაეკარგათ ეს იმედი, ხელს იბანენ, თუმცა კარგათ იციან, რომ ჩვენს სისხლში იბანენ ხელს. არ შეიძლება მუსულმანთა მასსამ დღეს ნეიტრალიტეტი დაიცვას. რუსტამბეკოვმა სთქვა, რომ ისინი მიიღებენ ყოველივე ზომებს, რომ ომი საკეთილდღეოთ დასრულდესო. არ უთქვამს კი, თუ ვის საკეთილდღეოთ უნდა დასრულდეს იგი (ტაში). მუსავატის პოლიტიკა დღეს ოსმალეთისათვის მხარის დაჭერაა. დემოკრატია შესძლებს ზურგიდან ჩაცემულ ხანჯლის აშორებას. ჯერ კიდევ ადრეა ამიერ-კავკასიის დემოკრატიაზე ჯვარის დასმა. იგი შესძლებს მოახდინოს სასწაული, იგი შესძლებს მოიკრიბოს ძალა, რომ ებრძოლოს გარეშე მტერს. ქართველების, სომხების, მუსულმანების საუკეთესო ძალები დაიცავენ რევოლიუციონურ ტერიტორიას. მთავრობას უნდა უთხრათ, რომ თავდაცვისათვის უნდა იქნას გამოყენებული მშრომელ კლასების ყველა ძალებიც (ტაში).

აგამალოვი (ჰუმეტი) აღნიშნავს, რომ საჭიროა სომხებმა და მუსულმანებმა არ დაარღვიონ ზოგის მთლიანობაო.

რუსტამბეკოვი, არუტინიანცი უპასუხებენ ჯუღელს.

მაგარამოვი (ჰუმეტი) აცხადებს, ჩვენ მთელი ძალ-ღონით მხარს დაუჭერთ მთავრობასო.

კამათი შესწყდა.

ერთხმად მიღებულ იქნა ნოე ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: 1) ვინაიდან საზღვრების შესახებ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მიეცეს წინადადება ჩვენს სამშვიდობო დელეგაციას დაუყოვნებლივ დაბრუნდეს უკან; 2) სეიმმა ამის შემდეგ უნდა გამოაცხადოს ამიერკავკასია მეომარ მხარეთ; 3) უნდა გამოიყოს მთავრობის შემადგენლობიდან სამი პირისაგან შემდგარი კოლეგია (მთავრობის თავმჯდომარე—სამხედრო მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი და ფინანსთა მინისტრი), რომელიც აწარმოებს ომს; 4) სეიმმა უნდა მიმართოს ამიერ-კავკასიის ერებს მოწოდებით.

თავმჯდომარე კითხულობს მენშევიკების ფრაქციის მიერ შემუშავებულ მოწოდების ტექსტს, რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული.

ვენ—ხონ.

საად.-მამულო რეფორმა

კახეთში 9 კაცი ვიყავით დანიშნული: 6 თელავის მაზრისთვის, 3 სიღნაღისთვის. ჩვენ ყველანი თელავში ჩავედით და მოვილაპარაკეთ მაზრის მიწათ-კომიტეტთან. თელავის მაზრა გავყავით ოთხ რაიონათ. სოფლებში ბევრ ალაგას არის მოწყობილი სასოფლო კომიტეტები; სადაც არ იყო, იქ მოვაწყვეთ. ჯერ-ჯერობით თელავში ოცდა თუთხმეტამდე სოფელში გვაქვს მოწყობილი ასეთი კომიტეტები. ხალხი საერთოდ უკმაყოფილო არ არის, ცოტას იჩქარიან. ჯერ-ჯერობით ისეთი კითხვები არა გვაქვს, რომელზედაც პასუხი არ გაგვეცეს, თავდაცვაზეც მივუთითეთ და ხალხის დაპირებები და აგრეთვე მიღებული ზომებიც მოწმობენ, რომ ნაყოფს გამოიღებს; დღეს გლეხებს ხელს უშლიან აქ მრავალი ყაჩაღები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ ხალხს.

თიანეთში მიმავალმა კომისიამ აქ გამოიარა, ჩვენ გავაცანით სამუშაო გეგმა; თუ საჭირო იქნება, შეიძლება ერთი კაცი კიდეც მივსცეთ. ეხლა საჭიროა კომისია (საჩქარებით მოვაწყოთ, რომელიც დააჩქარებს მუშაობას. ჩვენ ყველაფერი მზათ გვაქვს. საჭიროთ ვსცანით აგრეთვე მოვაწყოთ ორი ჩამომრთმევი კომისია.

ქ. ჯორბენაძე.

დუშეთის მაზრაში გამოგზავნილი ვართ მიწის კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ ოთხი ამხანაგი. პირველათ ჩვენ ჩავედით დუშეთში. აქ ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად გავმართეთ თათბირი საერთო მუშაობისა და ძალების განაწილების შესახებ. პირველად საჭირო იყო სასურველათ მოწყობილიყო სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტი. ვინაიდან სამაზრო კომიტეტს არა ჰყავდა სასურველი თავმჯდომარე (მიშა კლიმიაშვილის აქედან წამოსვლის გამო), ერთი ჩვენი ამხანაგი—საშა რიკაძე ავირჩიეთ სამაზ. საად.-მამ. კომ. გამგეობის თავმჯდომარეთ. მდივნათ ზაალიშვილი, ხოლო წევრებათ პეტრე ავლახაშვილი და ქიტო ქიტუაშვილი. სამაზრო კომიტ. და მისი [illegible] დღეს მოქმედობს. გამგეობამ დღეს მიიღო ხარკის ამკრეფი ინსპექტორისაგან სია იმ პირთა, რომელთაც ნორმაზე მეტი მიწა აქვთ; ეხლავე შეუდგებიან მის შესწავლას და შესწორებას. მიმღები კომისია, რაც შეიძლება საჩქაროთ უნდა შედგეს, აგრეთვე დაინიშნოს ინსტრუქტორი, ან მიანდონ რომელიმე ჩვენგანს მისი შედგენა. ეს იმიტომ, რომ მიწები ფაქტიურათ უკვე ყოველგან ჩამორთმეულია. საჭიროა მხოლოდ მათი კანონის მიხედვით მოწესრიგება. მე პირადათ რამოდენიმე სოფლები მოვიარე, მქონდა კრებები, როგორც საერთო, ისე საბჭოების; გლეხები კანონს ყოველგან სიხარულით შეხვდენ. ყველას ენატრება, რომ მიწის ჩამორთმევა დაკანონდეს.—რა თქმა უნდა, დიდი გაუგებრობაა ჩამორთმეულ მიწების დასამუშავებლათ განაწილების შესახებ. უფრო ხშირათ ისევ ისინი სარგებლობენ, ვინც უფრო მოწყობილია, ვისაც ხარები და სხვა საჭირო საწარმოვო საშვალება აქვთ. ამ ნიადაგზე ერთობ ბევრი სამუშაო არის. ბევრია აგრეთვე დავა გლეხებ შორის ნაყიდ მამულებზე. არის ისეთი შემთხვევა, რომ გლეხებს მემამულე სრულიად აყრიათ და მთელს მათ ავლა-დიდებას დაპატრონებიან. მაგ., სოფ. ჭადიჯვარში ბაგრატიონ მუხრანის მამული და სახლკარი დღეს სოფლის ხელშია. მამული, ვენახი, ბაღი და სხვა უკვე თავიანთ შორის გაუნაწილებიათ სამუშაოთ და სასარგებლოთ. იჯარაზე მაინცა და მაინც არ ფიქრობენ. ეს კითხვა მათთვის არა სასურველი კითხვაა... ამ კითხვის გარშემოც დიდი მუშაობაა საჭირო.

ჩვენ, სამმა ამხანაგებმა შრომა ასე გავინაწილეთ: ს. თავაძე წავიდა მუხრანის რაიონში, ამხ. არ. წეროძე ახალ-გორის და ამხ. ინაშვილი საგურამოსაკენ. რაც შეეხება ფასანაურსა და კობს, რადგან იქ თემური მიწათმფლობელობაა და თან თოვლიც არის, შემდეგისათვის გადავდევით.—

რაც შეეხება ანარქიასთან ბრძოლას და რევ. წესრიგს, ჩვენს რაიონში საქმე გვარიანათ არის.

საუბნო და სხვ. საადგილ-მამულო კომიტეტები ყოველგან ერთობ მოუწყობელია. სადაც ასეთები არსებობს, სულ სხვადასხვანაირათ მოქმედებენ. ესენი ბევრგან უნდა განახლდეს.

ამ ჟამათ სამაზრო საადგილ მამულო კომიტეტს დიდი სამუშაო აქვს, მასთან საჩქაროთ უნდა შედგეს მიმღები კომისია და ამ გვარათ საქმე რაც შეიძლება საჩქაროთ გაკეთდეს. ამისთვის ნიადაგი დიდი ხანია მზათ არის.

ოზოლი მუშა.

აღსრულდა!

დაჰკრეს ბუკი ნაღარა,
კავკასიონი თეთრი, ჭაღარა
კვლავ შეიმოსა თოფ-წამლის ბოლით,
კვლავ წინ მიიწევს მამაცი, ბრძოლით!..
მას არ უნდოდა სისხლი ედინა,
დანაშაული რამ ჩაედინა,
მაგრამ მახვილი როს ჩასცეს მკერდში,—
არ მოისურვა დარჩენა მკვდრებში,—
აიღო თოფი, შეისხა ხმალი,—
ამაყი გახდეს, თავისუფალი!
სამშობლო იწვის, მშობელი მხარე,
და როს წინ გვიდგას შავი სამარე,—
ვის შეუძლია იყოს გულ-წყნარათ,
მშობელს არ შეხვდეს მხსნელათ და ფარათ!
ვინ, ვინ იქნება ბოროტი იგი,
რომ შეარცხვინოს მებრძოლთა რიგი!
მსხვერპლათ არ დადნეს, როგორც სანთელი,
და შეირცხვინოს გმირმა სახელი!?.
ჩემო ლამაზო, წინ გასწი, წინა,
და დაიმკვიდრე ცოცხლებში ბინა...
თავისუფლებას შესწირე დღენი! .
კურთხეულ იყოს შენი გაჩენი!..
ქვითინებს ქოხი, ქვითინებს კერა,
ტყვიის ზუზუნი ისმის ველ მთებში...
რა ვქნათ, კარს გვადგას დღეს ბედის წერა...
ხომ ვერ დავრჩებით ცოცხალი მკვდრებში!?.
ცხენი ჭიხვინებს, თოფი გრიალებს,
ხმალი ჰაერში ლვენთქავს, ფრიალებს. .
ეჰ, რაოდენი დახუჭავს თვალებს!..
ვეღარ იხილავს ნაზ-მზიან ხვალეს?..
აღსრულდა! აბა, ვისაც კი შეგწევს
თავისუფლებას გაჰყევით წინა...
ბედნიერება დღეს ბრძოლაში ძევს...
ან გამარჯვება, ან „საფლავს შინა!"
აღსრულდა! დაჰკრეს ბუკი ნაღარა,
კავკასიონი თეთრი, ჭაღარა
კვლავ შეიმოსა შავი ძაძებით,
კვლავ მოიფინა მოკლულთა ძვლებით!

დ. მეჩონგურე.

31 მარტი, 1918 წ.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში

თუ რამდენათ ახწევს ეს უწყება თავის დანიშნულებას, ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა პრესაში, მეტადრე რუსულში, ძველი მართველობის დროს, თითქმის ყველანი ერთხმათ აღიარებდნენ, რომ ეს უწყება ბევრათ ვერ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას. ამის მიზეზებათ ასახელებდენ ამ დარგის ტეხნიკურათ მოუწყობლობას, უფრო მეტათ კი სტიროდენ იმაზე, რომ მოსამსახურეთა მასსა საშინელ მატერიალურ შევიწროებას განიცდის და როგორც ერთხელ ერთმა ჩვენმა ამხანაგთაგანმა განაცხადა სახემწიფო სათათბიროში: „სახემწიფო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ ტყავს აძრობს ისე, როგორც არც ერთ მუშათა მასსო". ომმა როგორც სხვა დარგებში, აქაც შეიტანა ცვლილება: პირველად მოხელეებს მოემატათ ჯამაგირი, შეიცვალა მათი შემადგენლობა, რადგან ომში გაიწვიეს სამხედრო მოხელეებათ რამდენიმე ასეული კაცი, მათი ადგილი უნდა დაეჭირა სხვებს. რევოლიუციის ხანაში კიდევ დაემატა შტატები, ისე რომ მოხელეთა რიცხვმა იმატა ორჯელ, თუმცა მუშაობამ ძლიო ათჯერ მაინც, მაგრამ ის ნაკლი, რომელიც სუფევდა ძველი რეჟიმის დროს კიდევ უფრო გაიზარდა. დღეს გვიკვირს, რომ ქუთაისიდან და გორიდან გამოგზავნილ წერილს უნდება ხანდახან ერთი კვირა, დეპეშას კიდევ ერთი ან ორი დღე. ეს მაშინ, როდესაც მუშაობა ძლიერ ნაკლებათ არის და მოხელენიც ჯამაგირს შესაფერს იღებენ.

რა არის ამის მიზეზი?

თუ ახლო ჩაუკვირდებით მოხელეთა ცხოვრებას. ამის ახსნა არ არის ძნელი. როგორც მკითხველს მოეხსენება, 27 თებერვლის შემდეგ აღმოცენდენ მრავალ გვარი პროფესიონალური კავშირები.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთაც შექმნეს ერთგვარი ორგანიზაცია, რომელსაც სახელათ უწოდეს კავშირი, ნამდვილად კი უფრო ადმინისტრატიულ ორგანოს წარმოადგენდა და დღესაც ამ გვარს წარმომდგენს ვიდრე კავშირს.

თუ როგორ და რა ნიადაგზე წარმოიშვა ამ გვარი ორგანო, ეს ადვილი მისახვედრია, თუ გავიხსენებთ ძველი რეჟიმის დროის დამოკიდებულებას, უფროსების და მოხელეთა შორის. მოხელეებს როგორც ვიცით, აკრძალული ჰქონდათ иметь свое сужденіе, ეს იგი რასაც უბრძანებდენ უსიტყვოდ უნდა შეესრულებინათ. ეს ისე ჰქონდათ შეთვისებული ზოგიერთ უფროსებს, რომ მზათ იყვნენ სისხლი ამოეწოვათ მოსამსახურეთაგან, რომ დაემსახურებინათ როგორმე ერთი რომელიმე ჩინ-ორდენი. რევოლიუციამ ეს აუტანელი ატმოსფერა მთლათ გააბათილა, იფეთქა რისხვამ დაბეჩავებულ მოხელეთა და რამოდენიმე უფროსები კიდეც განდევნა, მაგრამ ეს მაშინდელმა დროებითმა მთავრობამ არ მოუწონა მოხელეებს და მაშინვე გამოსცა განკარგულება, რომ მოხელეებს არ შესძლებოდათ თავის ნებით განდევნა უფროსებისა და თუ რომელიმე მათგანი დააშავებდა რამე, მთავრობა აღუთქვამდა დაენიშნა გამოძიება და სასტიკათ დაესაჯა დამნაშავენი. მოხელეთა მასამ ეს სცნო რთულ და გრძელ პროცესათ, ამიტომ არჩია მოკლე გზა და კიდეც მიაღწია მას.

თუ არ ვცდები მგონი ლენინი თავის ამხანაგებით შვეიცარიიდან მხოლოდ ფიქრობდა წამოსვლას, რომ აქ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კომიტეტებში იჩინა თავი მთელი თავისი მნიშვნელობით „ბალშევიზმმა"; ეს იქ, სადაც პოლიტიკაზე და უფრო მეტათ ბალშევიკ-მენშევიკ ლიტერატურაზე სრულებით არაფერი წარმოდგენა არ ჰქონიათ. ამ კომიტეტებში შემუშავდა ის აზრები და რეზოლიუციები, რომელნიც დაედვენ საფუძვლად წესდებას, რომელიც მიიღო მთელი რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ყრილობამ მოსკოვში.

ამ წესდების ძალით, თუ უმრავლესობა საოლქო კომიტეტისა ან რომელიმე კანტორის კომიტეტისა შესდგება შავრაზმელი მოხელეთაგან, უეჭველია, არ მოიწონებენ არც ერთ უფროსათ დანიშნულ სოციალისტს, ვისგანაც უნდა იყოს იგი დანიშნული—სეიმისაგან თუ მუშათა და გლეხთა მართველობისაგან—სახალხო კომისრებისაგან გინდ იყოს ეს ირაკლი წერეთელი, გინდ თვით ლენინი. აქედან ცხადია, რომ მთლათ ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ეკუთვნის ხალხს კი არა, როგორც აქამდის გვეგონა არამედ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს.

თავის თავათ ცხადია, რომ ამ გვარმა პირობებმა შექმნა შესაფერი ფსიხოლოგია მოხელეებისა. ისინი არ დასჯერდნენ კანტროლს, მათ ჩაიგდეს ხელში სრული აპარატი მართვა-გამგეობისა, ამით მათ გააბათილეს უფროსების უფლება, უფროსი გახადეს დეკორაციათ, ის მხოლოდ ადასტურებს და ბეჭედს ასვამს მას, რასაც მოისურვებს და დაადგენს კომიტეტი. დიდი უმრავლესობა კომიტეტებისა კი შესდგებიან გამოუცდელი სამსახურში ახალგაზდა მოხელეთაგან და ფოსტალიონებისაგან. ამან კი შექმნა ის, რომ გახრწნა მათში მოვალეობა კანონის და სინიდისის წინაშე, დასცა მათში ინტენსიური მუშაობა. რადგან მისგან ამორჩეული კომიტეტებში ამხანაგებს უნდა დაეცვათ მათი ინტერესი, მათ ინტერეს კი შეადგენდა 4—5 საათის სამუშაო დღე, დაჩქარებული წარჩინებები და კარგი ჯამაგირები, რაიც სისრულეში მოჰყავნდათ ავათ თუ კარგათ მათ უმაღლეს ორგანოს ოლქის ბიუროს (окружное бюро).

თუ ასე გაგრძელდა საქმე, ეს უწყება შეიქნება სახელმწიფო სახელმწიფოში. ასე რომ თუ აქამდის ფოსტა ტელეგრაფი იყო საუკეთესო დამაახლოებელი და შემაკავშირებელი ხალხისა, შემტანი მათში კულტურისა და განათლებისა, დღეს შეიქნება მეტ ბარგათ მშრომელი ხალხისათვის, რადგან ამოდენა ხროვა მოხელეებისა მოითხოვს დიდ ხარჯებსაც, რაც შეიძლება მხოლოდ ტარიფის გადიდებით, რის გამოც დიდი უმრავლესობა მშრომელი ხალხისა მოკლებული იქნება მითი სარგებლობას.

რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა დღესვე მიექცეს ყურადღება, ვისაც ჯერ არს. ჩემის აზრით, საჭიროა პირველათ, რომ სამინისტრომ გამოსცეს ცირკულიარი, სადაც უნდა განემარტოს მნიშვნელობა და მიზანი პროფესიონალური კავშირისა და ამასთანავე სასტიკათ აეკრძალოს მათ ორგანიზაციებს მიიღოს რაიმე მონაწილეობა ადმინისტრატიულ ფუნქციებში. სათათბირო ხმით სარგებლობა არ შეესაბამება დღევანდელ პირობებს. როგორც ვიცით, შარშან მინისტრობის დროს, ამხანაგმა წერეთელმა სათათბირო ხმით სარგებლობა ცირკულიარით დაადასტურა, მაგრამ ეს სათათბირო ხმა მაშინვე გადიქცა სამუდამო ადმინისტრატიულ ორგანოთ, რის შედეგსაც დღეს ცხადათ ვხედავთ.

უნდა შეიცვალოს დღევანდელი ოლქის შემადგენლობა, რომელიც აღმოცენებულია ნიკოლოზ II მართველობის მიწა-წყალზე. აქ ბევრი მოხელე თავის შავრაზმელობას ფარავს „ბალშევიზმის" ქერქში, საკმარისია პატარა რეაქცია, რომ ამათ წამოყონ თავი და გვიჩვენონ ნამდვილი თავიანთი სახე და თუ ძალაც შესწევთ მუჯლუგუნიც არ დაიშურონ ჩვენთვის. ამიტომ მე ვამბობ, რომ აქ უნდა შესდგეს ისეთივე კოალიციონური გამგებლობა დანიშნული სამინისტროსაგან—როგორიც არის აქაური მართველობა ე. ი. რომ აქ უფროსი და მისი ორი თუ სამი თანაშემწე იყვნენ კარგი მცოდნენი სამსახურისა და მასთანავე აუცილებლათ ადგილობრივი ენებისა, რომ მოგზაურობის დროს სამსახურისა გამო არ სჭირდებოდეს თარჯიმანი ხალხთან.

რომ ვითომ ამ გვარი კაცები არ მოიძებნებოდეს ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა შორის, ეს ტყუილია. მართალია ის, რომ ნიკოლოზ II-ის მართველობა „ტუზემცებს" ხალხათ არ სცნობდა და თუ რომელიმე მათგანს მისცემდა სადმე პატარა კანტორის უფროსობას, ეს დიდი წყალობა იყო. ოლქის უფროსობა და ან მისი თანაშემწეობა „ტუზემც" მოხელეს იქნება სიზმარში თუ ჩვენებოდა. გავკადნიერდები და ვიტყვი უფრო მეტს, რომ დღესაც ოლქის მმართველობაში (управленіе округа) ასამდე მსახურთა შორის მხოლოდ ორია ადგილობრივი ენების მცოდნენი ერთი სომეხი და ერთი ქართველი. სხვები იმ ერის უმცირესობა, რომელზედაც ბ. კადეტ სემიონოვს ქონდა ლაპარაკი სეიმში, აქ დიდ უმრავლესობას შეადგენს.

ვსთხოვ ამხანაგებს, რომ ეს რაიმე პოლიტიკანობაში არ ჩამომართონ, რადგან ვწერ სრულ სიმართლეს. და იმისათვის, რომ ეს გარემოება შეიქნა საუკეთესო ნიადაგათ, რომელიც ჩვენმა მოწინააღმდეგე პარტიებმა გამოიყენეს თავიანთ პროპაგანდა-აგიტაციისათვის და მის მიუხედავათ, რომ აქ მეცადინეობდენ და დღესაც თავში უდგანან ჩვენი ამხანაგები, დიდი უმრავლესობა მოხელეებისა გადაიბარგა სხვა პარტიებში ისე, რომ ჩვენი ამხანაგები აქ თითზე არიან ჩამოსათვლელები.

ი. სიმონიძე.

ქართული სამხედრო ორგანიზაციები რუსეთში

(გაგრძელება).

გზაში

საღამოს 7 თუ 8 საათზე მივედით სადგურ ტიხორეცკაიაში, სადაც ჩვეულებრივათ, როგორც ყველა დიდ სადგურებში, გადავხტით ყოველი საბუთებით და გამოვცხადდით სადგურის სამხედრო კომისართან და ვსთხოვეთ, რაც შეიძლება ჩქარა გაეშვას მატარებელი. კომისარი (სალდათი კოვალიოვი) მივარდა ტელეფონთან და დაელაპარაკა ჩრდილოეთ კავკასიის მომქმედ ჯარის სარდლის შტაბს, რომელიც თურმე იქ ვაგონებში იდგა. მაგრამ საკვირველია სწორეთ რა გადასცა მან შტაბის უფროსს. იქვე, ჩვენთან დგას და ეუბნება, რომ აქ მოვიდა სანიტარული მატარებელი. ცარიელი, რომლის გამგეები მოვიდნენ და გვითხრეს—თუ გესაჭიროებათ მატარებელი თქვენ ჩაგაბარებთო და დავტოვო თუ არა მატარებელიო. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რათ ტყუის აგრე აშკარათ გვიპასუხა. რა თქვენი საქმეაო, თქვენ ის უნდა აასრულოთ, რასაც გიბრძანებენო. ჩვენ ძლიერ გაგვაცხარა მისმა თავხედობამ და გავიქეცით შტაბში, მაგრამ ამ დროს გავრცელდა სადგურზე, ამიერ-კავკასიის ფრონტიდან მოსულ ეშელონის სალდათებში ხმა, რომ „ბურჟუები" მიდიანო და გადასწყვიტეს იქვე გაეჩხრიკონ მატარებელი. საკონტროლო როტის ჯარისკაცებმა არ მისცეს ამის ნება და უთხრეს, რომ ეს მათი საქმეა და არა ყველა გამვლელ-გამომვლელისო. მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. შეგროვდენ მხედარნი და არა მხედარნი, ქალი და კაცი მატარებელთან და გადასწყვიტეს გაეჩხრიკონ მატარებელი.

რა დავინახეთ, რომ არ ეშვებიან, ჩვენ გავიქეცით შტაბში და ვსთხოვეთ, —ყოველ გამვლელ-გამომვლელს არ ქონდეს უფლება თავისი ნებით ჩხრიკონ მატარებელი. მთავარ სარდლის უფროსის თანაშემწემ—ვილაც ივანოვმა გვიპასუხა, რომ უმაღლოთ არც აქვს ვისმე გაჩხრეკის ნება და ვერც გაგჩხრეკენო. დილამდე აქ იქნებითო და შემდეგ ჩვენ გაცნობებთ—იქნებ მატარებელი სულ წავართვათ და სამაგიეროთ საქონლის მატარებელი [illegible] გაგიშვებთ [illegible] დამშ[illegible] [illegible] მიის [illegible] თავი და ისმოდა ყვირილი: მოვხსნათ ეს ვაგონი და გავიყვანოთ სადმე და დავხვრიტოთო. მიზეზი ამისა ის იყო, რომ იქ 70-მდე ვინტოვკა და სხვა ბევრი რამ იპოვეს. გაჩაღდა ჩხრეკა. ერთი პარტია ათავებს, იწყებს მეორე, მესამე, მეოთხე და ასე მანამდე, სანამ მატარებელი არ გასწიეს სადღაც და არ დააყენეს „ტუპიკში".

როდესაც გამჩხრეკნი შემოვიდენ, კომისარ პისარევის თანხლებით კომიტეტის ვაგონში, და იარაღის ართმევა მოინდომეს, ყველასთვის, მიუხედავათ [illegible], ქონდათ ნებართვა, თუ არა, ჩვენ წინააღმდეგობა გავუწიეთ. და წინადადება მივეცით წაგვიყვანონ პირდაპირ მავთულთან და გამოიწვიონ როსტოვიდან წითელ არმიის უფროსი ანტონოვი. ის დაგვთანხმდა, ანტონოვს შევეკითხეთ მატარებლისა და აგრეთვე იარაღის შესახებ და მან მოგვცა პასუხი, რომ მატარებელი უნდა დაუყოვნებლივ გაუშვან და იარაღიც დაუტოვონ ხალხს. ამაზე პისარევმა დაუწყო მტკიცება მას, სულ ერთია იარაღს კორნილოვის, ან ჩაჩნების რაზმი წაგვართმევს და ჩვენ წინააღმდეგ მოიხმარს. ჩვენ კი არ მოგვცა ნება გვეთქვა რამე. ამ უკანასკნელზე ანტონოვმა უპასუხა ასე: „თუ ისეთი პირობებია იქ, რომ უეჭველათ [illegible] წაართმევენ იარაღს მტრები, უკეთესია შენ ჩამოართვაო". ამის შემდეგ ჩვენ შტაბს მავაშურეთ ისევ და როგორც იყო, დროებით დავარჩინეთ იარაღი. იმ ღამეს „ტუპიკში" ალყა შემორტყმული გაგვაჩერეს და მეორე [illegible] ჩაგვიყვანეს სადგურზე, სადაც ყოველ თოთო-ორორ საათში მოდიოდა ამიერ-კავკ. ეშელონები და ყველა თვლიდა თავის მოვალეობათ გაეჩხრიკა მატარებელი და რაიმე წაეღლიჯა ხალხისთვის. ზოგი ამბობდა: ქართველებმა ჩვენ ყველაფერი წაგვართვა, ისინი „კონტრ-რევოლიუციონერებია" და იქით როგორ უნდა გავატანოთ გეგეჭკორთან რამეო. ზოგიც ტყვილა უბრალოთ ისე გაჰყვიროდა: ესენი ყველა „ბურჟუებია" [illegible] უნდა დავხოცოთო, რომლებსაც ვაგონებში აღმოაჩინეს რევოლვერები [illegible] წილათ ნებართვით და [illegible] უნებართვოთ. წაგვიყვანეს ისევ „ტუპიკში" შემოგვარტყეს [illegible] ქვეითთა ჯარისკაცები და ერთი [illegible] გვჩხრეკდენ ყველა გამომვლელი [illegible] ლონები.

გავარდა ხმა „კონტრ რევოლიუ[illegible] ნერები", კადეტები მიდიან კორნი[illegible] თანო და ყველა ცდილობდა [illegible] შეურაცხყოფა მოეყენებინათ ჩვენთვის. არ ერიდებოდენ არც ქალებს, არც კა[illegible]. ჩხრეკის დროს ზოგიერთს [illegible] ჩემოდნებში ძველი პაგონები [illegible] საკმაო იყო, რომ კონტრ-რევოლიუციონერებათ გამოეცხადებინეთ ყველანი. მგზავრები შიშის ზარმა აიტანა, [illegible] ლას ნერვები აეშალათ და არ [illegible] რასა შვრებოდენ.

ხშირათ მოგვესმებოდა [illegible] რაკე: „როგორც შეღამდება [illegible] ორთქლმავალი, გავიყვანოთ მატარე[illegible] ეგერ გაშლილ მინდორზე და სულ [illegible] თიან დავხვრიტოთო".

ბრბოდან ქალები ეუბნებოდენ ჯარის კაცებს: რას უდგიხართ, რატომ [illegible] არ დახვრიტავთ ამ ძაღლებსო.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა [illegible] ნებაზე იქნებოდენ ამის გამგონე მგზავრები.

ნაშუადღევს დაგვეწია როსტოვიდა[illegible] სომხების ხარკოვის ეშელონი. ამის შემდეგ გავარდა ხმა, რომ სომხების ორგანიზაცია სიას აძლევს სომხებისა და მ[illegible] მიერ წამოყვანილ მგზავრებისას [illegible] აძლევენ „ტელეგრამებს", რომლებსაც მოუხმენ ხარკოვის ეშელონს, ხოლო ქართველები ამაღამ აქ დარჩებიანო.

ამ ამბავმა შიშის ზარით მოიც[illegible] ყველანი. იმ ღამეს იქ დარჩენა იგი სიკვდილი იყო.

მაგრამ როდესაც ხარკოვის ეშ[illegible] უჩვენოთ წავიდა და აგრეთვე [illegible] ვიგეთ შტაბში, რომ ერთიან[illegible] ნიან ამაღამვე, ცოტა დამშვიდდა ხალხი.

მთავარ-სარდლის თანაშემწემ [illegible] ნოვმა აგვიხსნა, რომ მას მაშინვე [illegible] დოდა მატარებლის გაშვება, [illegible] ბრბომ არ გაუშვა. „სარდლები [illegible] როსები ჩვენ კი არა ვართ, ამ [illegible] სთქვა მან და მიგვითითა იქვე [illegible] ბრბოზე.

გავიგეთ აგრეთვე თითქოს ერთ-ერთ ჯარისკაცთაგანს, ჩხრეკის დროს ეცნ[illegible] ერთი ქართველი ოფიცერო, რომელიც თურმე იღებდა მონაწილეობას ამიერ[illegible] კავკასიიდან მიმავალ სალდათების [illegible] რაღის აყრაში და ამიტომ მატარებელს გაუჩერებ[illegible] ათ, მაგრამ ის ოფიცერი [illegible] ლაც მიმალულა.

უკვე გაისმა მატარებელზე [illegible] მოშორებით სროლა.

თურმე მატარებლიდან გადახტა და გაიქცა ორი კაცი. ვინ იყვნენ ისინი, არავინ იცის. მათ დაედევნენ ცხენოსანი ჯარისკაცები და შეიპყრეს და ამბობენ იქვე ნახევარი საათის შემდეგ დახვრიტესო. მაგრამ ჩვენ ვერას გავხდით და ვერ გავიგეთ, თუ ვინ იყვნენ და რა მოუვიდათ მათ.

იქვე ჩამოსხეს ჩვენი მატარებლიდან ერთი ღრმა მოხუცი (გვარი არ მახსოვს) ყოფილი პოლკოვნიკი, რადგან მას რევოლვერი უპოვეს. ამბობდენ, იქვე მასაც დახვრიტავენო.

რომ შეღამდა, როგორც იყო, ბრბო მოშორდა მატარებელს. ცოტა ხანს შემდეგ მოხსნეს დარაჯებიც და მატარებელი ჩამოაყენეს სადგურზე. ერთ-ერთმა კომისართაგანმა (შტაბის პოლიტიკურ განყოფილების კომისარმა) ბალაბინმა დიდი სამსახური გაგვიწია. ძალიან მოინდომა, როგორმე ჩქარა გავეგზავნეთ იქიდან, რადგან თურმე იცოდა, რომ თუ დილამდე იქ დავრჩებოდით, არავინ ცოცხალი არ გადავრჩებოდით.

დილის 4 საათზე, როგორც იქნა, მოვშორდით სადგურს. ყველას რაღაცა იმედი მიეცა. შტაბმა თან გაგვაყოლა დამცველი რაზმი 9 ჯარისკაცისაგან შემდგარი, რომ გზაში აღარ გავეჩერებით და კიდევ არავის გავეჩხრიკეთ.

ასე ჩავედით სადგურ „კავკაზსკაიაში". აქ შემოვიდა სადგურის კომენდანტი—რკინის გზის მოხელე და კომისარი (გვარათ მგონია შირსკოი) საკანტრო როტის ჯარისკაცების თანხლებით და გაჩხრიკეს მატარებელი, მიუხედავათ მისა, რომ დამცველი რაზმის უფროსმა გააგებინა, რომ აღარაფერი ნებადაურთველი მატარებელში არ არის, მაგრამ მათ არაფერი არ წაუღიათ, რადგან თუ ვისმე იარაღი ჰქონდა, ნებართვაც ჰქონდათ. ამათ რომ გაიარეს მატარებელი, მეორე თავში, მეორე რაზმს დაეწყო ჩხრეკა. კომენდანტმა უბრძანა მათ თავი დაენებებინათ ჩხრეკისთვის, რადგან მატარებელი უკვე გაჩხრეკილია და უნდა გაიგზავნოსო. ჩვენ კიდევ დაგვაიმედა, რომ აქ უიმათოთ არავის შეუძლიან არა თუ გაჩხრეკა, ხელის ხლებაც კი. მაგრამ სინამდვილემ კი სულ სხვა დაგვანახვა. მოადგა სადგურს ბრბო იარაღით და უიარაღოთ ქალი და კაცი მოითხოვეს მატარებლის გაჩხრეკა ხელახლათ. შემოცვივდენ ყოველი მხრიდან და დაუწყეს ჩხრეკა-რბევა. ბევრს ფულებიც წაართვეს, ბევრს მიუხედავათ ნებართვისა, იარაღი აალეს. ბევრს ძვირფასი ნივთები და სხვა. შეწუხდა ხალხი. ვეცადეთ როგორმე ჩქარა გაგვემგზავრებია მატარებელი, მაგრამ ბრბო არ უშვებს და [illegible] ახალ-ახალი მჩხრეკავები ჩნდებიან. [illegible]ტარებლიდან ცოტა მოშორებით აქა[illegible] ჩანს ცარიელი ურმები. თურმე მოუ[illegible]ანიათ ნაძარცვების გადასა იდათ თავიანთ სახლში.

გაიგეს, რომ ერთ საქონლის ვაგონში არის ცხენი და კუბო მიცვალებულის გვამით. გზაში ავათმყოფი სერ[illegible] წეთითელი გარდაიცვალა. კომიტეტის ხელმძღვანელობით გზაში ქართველებს შორის შევკრიბეთ ფული, რომლითაც ვიყიდეთ კუბო, ჩავასვენეთ შიგ მიცვალებული და მოგვქონდა. ტიხორეცკაიაში რამდენჯერმე გაჩხრიკეს ეს კუბო და ახლა აქაც მოითხოვეს მისი გახსნა. კუბო ვერ გააღეს, რადგან დადუღული იყო და გატეხეს ძალით, შეხსნეს მიცვალებულის გვამი—აატრიალეს იქით-აქეთ. ეს პოლკოვნიკიაო დაიწყეს ყვირილი და ძლივს დავაჯერეთ, რომ მას არაფერი საერთო არ ჰქონდა სრულებით სამხედრო სამსახურთან. დავინახეთ რა, რომ აქედან კიდევ უფრო ძნელათ დასახწევია თავი, ვიდრე ტიხორეცკაიადან, რადგან ბრბო თანდათან ემატება და მათში ვრცელდება ათასნაირი საარაკო ამბები ჩვენს შესახებ, ჩვენ იქიდან გავგზავნეთ კომიტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი ქ. არმავირში ქართველ საზოგადოებასთან, რომ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ჩვენთვის.

გაისმა მატარებელთან თოფის სროლის ხმა. გავიგეთ სალდათებისაგან თითქოს ვიღაცას ჩვენი მატარებლიდან გაქცევა მოენდომებიოს, მაგრამ იქვე [illegible]კლავთ. თურმე ერთი სომეხი ჯარისკაცი მოჰკლეს, რომელიც მეორე ეშელონიდან მოსულიყო სტუმრათ ჩვენს [illegible]ტარებელში და ეხლა უკან, თავის ეშელონში ბრუნდებოდა.

უცებ ჩვენი მატარებელი დაიძრა და ყველანი სიხარულმა მოგვიცვა, მაგრამ [illegible] დროს ასტყდა სროლა და მატარებელიც გაჩერდა.

თურმე სადგურის უფროსმა და სამხედრო კომისარმა მოინდომეს მატარებლის საჩქაროთ გამგზავრება, მაგრამ ბრბო ამის წინააღმდეგი ყოფილა, ჯერ წითელი ნიშნის ქნევა დაუწყიათ და შემდეგ, რადგან მატარებელი არ გაჩერდა დაუწყიათ სროლა.

ახლა ვინაა მხედარი, ვინ არა მხედარი, ძნელი გასარჩევია, რადგან სოფლებში ყველანი შეიარაღებულებია და სალდათის შინელიც ხომ მთელ რუსეთს აცვია.

დადგა თუ არა მატარებელი, ყველა შემოცვივდა ვაგონში და შეიარაღებულმა ხალხმა ნამდვილი რბევა-აწიოკება დაიწყო. წაგვართვეს ყველაფერი, რაც კი გვებადა. წაიღეს იარაღიც თავის ნებართვებით. ააწიოკეს მთელი მატარებელი, ატირეს ქალები, ბავშვები. მაგრამ ეს ვიღა გვაკმარა.

უცებ დაიძრა მატარებელი, ვხედავთ მივდივართ აუარებელი შეიარაღებული ხალხით გარს შემორტყმული სადღაცა მინდორში. მოაქვთ არტილ., ტყვიის მფრქვეველები. ნამდვილი ბრძოლის ველია. მატარებელი გაჩერდა. ერთი მხრიდან ზარბაზნები დაგვიმიზნეს, მეორე მხრიდან ტყვიისმფრქვეველები. ვხედავთ როგორ ასხამენ ტყვიისმფრქვეველებში წყალს, როგორ იკეთებენ ქვეითი ჯარისკაცები თხრილებს და ჯდებიან შიგ. ქალების ვაგონში, რამდენიმე ქალს გული წაუვიდა. შემოგვიცვივდენ სილდათები, გაისმის ყვირილი: დავხვრიტოთ მთელი მატარებელი, დავხოცოთ ყველანი. „ბურჟუები, კონტრ-რევოლიუციონერები, მენშევიკები". „ესენი გეგეჭკორთან მიდიან, კორნილოვის შვილებია ესენიო".

„Подать сюда жену капитана",—გაისმის ქალების ვაგონის კარებთან, „Разстрѣлять ее, сейчасъ же разстрѣлять"—უპასუხებენ დანარჩენები. ისმის ქალის მტირალე ხმაც: „არ გამოვალ, არ შემიძლია გამოსვლაო".

საქმე იმაშია, რომ ერთი პოლონელი ქალი მოდიოდა, კაპიტანის ცოლი. მისი ქმარი ეხლაც გერმანელებს ჰყავთ ტყვეთ. და აი, ამ ქალის დახვრეტა მოინდომეს იქვე, რადგან აფიცრის ცოლიაო, მაგრამ ქალმა თურმე იფიქრა: უკეთესია აქ, ჩემივე საწოლში დამხვრიტონ, ვიდრე გარეთ და თავისი გაიტანა კიდეც და ცოცხალიც გადარჩა.

ჩვენ არა გვაქვს საშუალება ქალების ვაგონში გასავლის კარებში, თოფ-მოღერებული ჯარისკაცები გვიდგას და არ გვიშვებს.

აგერ ერთ-ერთი ვაგონიდან გამოიყვანეს მგზავრები—მგონია 15—16 კაცი. მათ შორის რამდენიმე ქალია, გაიყვანეს მინდორში, შემოარტყეს ალყა, ცოტა ხანს იყვნენ ეგრე. ეტყობა თათბირობენ, თუ რა უყონ მათ: ეხლავე დახოცონ თუ ჯერ წაიყვანონ და ციხეში ჩაამწყვდიონ. ცოტა ხნის შემდეგ გაირეკეს წინ ცხვრებივით, თოფის კონდახის ცემით და წავიდნენ „ხუტორ"-ში (სოფელში). ერთ ქალს ისე მაგრათ ჩაარტყეს კონდახი თავში, რომ ქალი წაიქცა და მერე ხელზე აყვანილი მიჰყავდათ.

გარედან ისმის ყვირილი: „გამოიყვათ ყველანი, რომ აქვე დავხვრიტოთო". უცებ შემორბის ჩვენს ვაგონში ჯარისკაცი და ისე თავაზიანათ მეუბნება მე: „ამხანაგო მდივანო, მობძანდით აქეთო", რომ როგორ მოვიფიქრებდი თუ დასახვრეტათ გავყავდი გარეთ.

გავედი გარეთ და მიმითითა ჩავსულვიყავ ქვემოთ. ჩავედი თუ არა იქვე მყოფმა ჯარისკაცებმა მტაცეს ხელი და დამიწყეს ტანზე ჩხრეკა. ცოტა დაშორებით მყოფებმა მოიმარჯვეს თოფები და დაიწყეს ყვირილი: „რაზსტრელიათ' რაზსტრელიათო". მე მართალი გითხრათ იმედი გადამიწყდა, აღარ მეგონა თუ დაუხვრეტავი გადავრჩებოდი და თან მომაგონდა, რამდენი სულ უბრალო, პოლიტიკაში გამოუწრთვნელი ხალხია მატარებელში, რომლებიც, ვინ იცის, მთელ თავის სიცოცხლეში პირველათ ხედავენ ამას და უნებურათ მივიხედე ქალებისა და ბავშვების ვაგონისაკენ.

ამ დროს გაისმის ვიღაცის ხმა: „არა ამხანაგებო, ჩვენ ეხლა არავის დავხვრეტავთ, ცოტა მოითმინეთ, დოკუმენტები გავსინჯოთ, გადავარჩიოთ, იქნებ შემთხვევით აქ ისეთი უბრალო მგზავრებიც არიანო". რამოდენიმე ხმა თუმცა მაინც გაისმა წიიაღმდეგ, მაგრამ, ეტყობოდა, უმრავლესობა დაეთანხმა ამას და თოფები ჩამოუშვეს. ამართვეს დოკუმენტები და გადამიბიძგეს ძირს, მინდორში.

ვხედავ თანდათან მემატება ამხანაგები. გამოყავთ ქალები, ბავშვები. გამოიყვანეს ავათმყოფები, მაგრამ მერე დიდი ჩხუბის შემდეგ ერთანეთ შორის, ზოგიერთი მათგანი შეიყვანეს ისევ ვაგონში.

აგერ მოჰყავთ დ. წერეთლის ცოლი ორი ბავშვით. ერთი ძუძუმწოვარა და მეორე კი მგონია 3—3 ნახ. წლისა.

უფროსი ბავშვი შეეკითხა მამას: „მამა, ჩვენ დაგვხვრეტენო"? და ცრემლი ჩამოუგორდა ფუნთუშა, შიშისაგან გაფითრებულ ლოყებზე. ყველანი, ვინც ეს გაიგონა, ცოდვით დავიწვით, მაგრამ სალდათებ შორის სიცილის მეტი ვერაფერი გამოიწვია ამ სურათმა. ვიღაცამ წამოიძახა: „Эти всѣ дѣти Корнилова" ო.

გარშემო ისმის უშმაწური ლანძღვა-გინება. ვინ გამოსთქვამს მას რა სიტყვებით არ გვნათლავენ. მაგრამ უფრო გასაკვირი და დამახასიათებელი ის არის, რომ კონტრ რევოლიუციონერებს გვეძახიან. ხედავენ ჩვენს საბუთებს, საიდანაც სჩანს, რომ უმეტესობა ჩვენგანი სულ სალდათთა საბჭოებში და მათ კომიტეტებში ნამუშავარია, მაინც არ სჯერათ,—ეს ქაღალდებიაო, იძახიან. თქვენ ისწავლეთ იმიტომ, რომ ჩვენ გვატყუოთ. სანამ თვით მინისტრებათ ჩემისთანა უსწავლელი გლეხი არ იქნება, ჩვენ არაფერი არ გველირსებაო,—წამოიძახა ვიღაცამ და ხელი გულში ჩაიკრა. გარშემო მდგომთ ეტყობოდა, ძალიან მოეწონათ ეს სიტყვები. ზოგმა ჩვენგანმა სცადეს რაიმე ეთქვათ მათთვის, მაგრამ ისინი არ ანებებდენ.

ერთმა ამხანაგთაგანმა ვერ მოითმინა და მაინც დაიწყო სიტყვა. უყვირეს, შეაჩერეს, ისევ განაგრძო, მაგრამ ისევ შეაჩერეს. ვიღაც ერთი წვერიანი ჯარისკაცი მოუწოდებდა ბრბოს—ეხლავე უნდა დახვრეტა ამათ. ესენიმიდიან კორნილოვთან, გეგეჭკორთანო. ესენიო, სთქვა მან,—ყველანი გადაცმული აფიცრები არიანო. მიდიან კავკასიაში, რომ იქ გაძლიერონ გეგეჭკორის „კონტრ-რევოლიუციონური" მთავრობა და მერე ჩვენ შეგვებრძოლონო. ერთი ამათში არ არის გასაშვები ცოცხალი, ეს კადეტები, ესენიო.

ეტყობოდა ყველას მოეწონა ეს აზრი. მეორე ჯარისკაცმა სთქვა: ამხანაგებო, ჩვენ ესენი ახლა ერთ ვაგონში შევრეკოთ, თქვენივე წრიდან ამორჩეული დარაჯი დავუყენოთ, რომელსაც თვლით ჩავაბაროთო. ამედამ გავარჩიოთ მათი დოკუმენტები და ხვალ ისევ თვლით ჩავიბარებთ და ვინც დასახვრეტია ხომ მაინც ჩვენს ხელში იქნებაო. ამ სიტყვებმა გასჭრა, თუმცა ზოგიერთები წინააღმდეგი იყვნენ.

მაშინ გამოგვიცხადეს ჩვენ შევსულიყავით ყველანი ერთ ვაგონში, სადაც დილამდე დავრჩებოდით. ზოგი ჩვენგანი ამბობდა განგებ შვრებიან ამას, რომ უფრო ადვილი იყვეს დახვრეტა ერთ ვაგონშიო. მაგრამ ზოგს კიდევ იმედი მიეცა გადარჩენისა. ჩვენ ავირჩიეთ კომიტეტის ვაგონი და შევდიოდით შიგ, რომ სადღაც, უკან, გაისმა თოფის სროლა. როგორც შემდეგ სთქვეს, თურმე ურმებით მოსულ სოფლელებს აშინებდენ, რომ უკან წასულიყვნენ.

ი. დარჩია.

(დასასრული იქნება)

ანანოვის მამულის შესახებ

„ერთობის" მე-61 ნომერში მოთავსებული იყო სიმონეთლების რწმუნებულის პრაპ. ნიკოლაძის დეპეშა შესახებ იმ 377 ქცევა ანანოვის მამულისა, რომელიც უნდა გადაცემულიყო სიმონეთლებზე, მაგრამ ჯერ არ არის გადაცემული ანანოვების მამული „აგენტების" მიზეზით, რომლებიც ღელვებენ ზოგიერთა ბნელ სოფლელ მეზობლებს სიმონეთლების წინააღმდეგო.

ზემოხსენებულ დეპეშას ამთავრებს ნიკოლაძე იმით, რომ ამ მამულის გადაუცემლობას თავის დროზე სიმონეთლებზე მოჰყვება ცუდი შედეგი. ჩვენ, რწმუნებულნი სიმონეთის, სვირის და დიმის საზოგადოებებისა, მოვალეთ ვთვლით ჩვენ თავს ვაღიაროთ, რომ ზემოხსენებული დეპეშა პრ. ნიკოლაძისა არ შესაბამება სიმართლეს და არის ტენდენციურის ხასიათისა.

ამის დასამტკიცებლათ მოგვყავს შემდეგი ფაქტები: 1) 377 ქცევა მიწაზე, რომელიც შეადგენს ეგრეთწოდებულ „ყვირილის მინდვრის" ნაწილს, უჭირავს თვალი მხოლოდ რამოდენიმე ერთეულ კომლ სიმონეთელს, მიუხედავათ იმისა, რომ სოფ. სიმონეთში ითვლება 1,800 კომლზე მეტი, 2) ამ მამულით სარგებლობდენ, როგორც მოიჯარადრენი, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სვირის, დიმის და სიმონეთის მცხოვრებლები ისე, რომ ყოველ მოიჯარადრეს ეძლეოდა არა უმეტეს ნახევარ ერთი ქცევისა. ამასთანავე ანანოვების მამულის გამგეობა შეთანხმებით ზემოხსენებულ სოფლების მცხოვრებლებთან აძლევდა მამულს იმათ, ვინც უფრო გრძნობდა მის სიმცირეს, 3) მოქმედების მიზეზათ სვირის, დიმის და სიმონეთის გლეხებისა უნდა ჩაითვალოს არა მათი სიბნელე, როგორც ბრძანებს პრ. ნიკოლაძე, არამედ—აუცილებელი მათთვის საჭიროება. 4) სიმართლეს მოკლებულია მითითება ანანოვების „აგენტებზე", ვინაიდან მიწის დეკრეტის ძალით ანანოვებს ერთმევათ არა მარტო 377 ქცევა, არამედ—ბევრი სხვა მამულიც და მაშასადამე, ამათთვის სულ ერთია გადაეცემა ზემოხსენებული მამული დიმელებს, სვირელებს, თუ სიმონეთლებს. ამისთანა მითითება მიწის რეფორმის შემდეგ, ჩვენი ფიქრით, ისეთი არა-ღირსეული საშუალებაა, რომლის შემწეობით ღელდება ხალხის გრძნობები და მყარდება აუტანელი პირობები მეზობელთა შორის. დასასრულ ვარწმუნებთ პრაპ. ნიკოლაძეს, როგორც რწმუნებულნი ორი დიდი საზოგადოებებისა—სვირისა და დიმისა, რომ ჩვენ უკეთ გვესმის ხალხის ინტერესების დაცვა, ვიდრე წარმომადგენელს რაღაც პატარა ჯგუფისა, რომელიც იცდენს თავიდან ქუთაისის გუბერნიის სამიწათმოქმედო კომიტეტს, დასდგომია იმ გზას, რა გზითაც დადიოდენ ზოგიერთნი ძველი რეჟიმის დროს და ამით სურს გაამეფოს კერძო პირების ინტერესები წინააღმდეგ საზოგადოებრივი ინტერესებისა. ნიკოლაძეს ვსთხოვთ სამივე საზოგადოებების სამიწათ-მოქმედო კომისია, რომ 1) აღიაროს გაზეთის საშუალებით მომქმედი აგენტები ანანოვისა, „პროვაკატორები", რადგან აუცილებელი საჭიროება არის გაგება, ვინაიდან „პროვოკატორებს" დიდი მავნებლობის მოტანა შეუძლიათ როგორც რევოლიუციაში, ისე გლეხების ასეთ საქმეებში; 2) ვინ არიან ბნელი ძალები?

მთელი შემადგენლობა კომისიისა მოითხოვს საჩქარო პასუხს, რადგან სრულიად მოკლებულია სიმართლეს ბ. ნიკოლაძის დეპეშა.

სამივე საზოგადოების ს.-მიწათ-მოქმედო კომისიის მონდობილობით ვარლამ კაპანაძე.

27 მარტი.

ქართული უნივერსიტეტი.

შემოწირულებანი ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოთ. 1) ქ. სოხუმში ქართველ სტუდენტების მიერ გამართულ საღამოდან შემოვიდა 6.497 მან. 2). ქ-ნ ოლღა ხოფერიას მიერ ქ. ახალ-სენაკში გამართულ საღამოდან შემოვიდა 10.063 მან. და 63 კ. 3) სოფ. მაღლაკის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის მიერ წარსული 1917 წლის მოგებიდან გადადებულ იქმნა 150 მან. 4) ქ-ნ ქეთევან ღვთისავრიშვილის მიერ თავის ნაცნობებში შეგროვილი: არჩვაძემ, მ. ხომასურიძემ, კ. ხომასურიძემ, ნეფარიძემ და ხვედიანელმა სამ-სამი მანეთი თითომ; დემეტრაშვილმა 1 მ. 50 კ. და ტაბატაძემ 1 მ. სულ 17 მ. 50 კ. 5) ბ. არტემ დავითისძე გეგენავასაგან სოფ. კოტიანეთის (სამეგრელოშია) სამრევლო სკოლის მოწაფეთა შორის მასწავლებელ ქალების დომინიკა ხელიძის და ვერა ნემსაძის დახმარებით მოგროვილ იქმნა 27 მ. და 40 კ. 6) 21 იანვარს ამა წლისა ქ. ოდესაში განსვენებულ კიტა აბაშიძის სამოქალაქო პანაშვიდზე შეგროვილ იქნა სტუდ. გიორგი ნოზაძის მიერ; შემომწირველთა სია: პროფ. სვიმონ გოგიტიძემ 25 მან., პროფ. იასონ მოსეშვილმა, მიხეილ ნოდიამ, პროკოპი გოგიტიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, მიტროფან ტყემალაძემ და გიორგი გელოვანმა ოც-ოცი მანეთი თითომ; იოველ ქუთათელაძემ, ნიკოლოზ მასხულიამ, ხიტუ მიქელაძემ და ეფრემ ზაკარაიამ თხუთმეტ-თხუთმეტი მან. თითომ; გიორგი ხეჩინიშვილმა 14 მ., ჩარგეიშვილმა, ისიდორე გეგლაშვილმა, გიორგი ქუთათელაძემ, ყურაფაძემ და პეტრე ჯაფარიძემ ათ-ათი მანეთი თითომ; კალანდაძემ, ჯიბუტმა და მირიან თედორაძემ რვა-რვა მანეთი; კაკაბაძემ, სალარაძემ, და უგულავამ შვიდ-შვიდი მან., ელისაბედ დათეშიძემ ექვსი მან., ანნა ბოსეშვილმა, მარიამ უგრელიძემ, გიორგი ალექსიძემ, მიხეილ ტყემალაძემ, ჩეჩელაშვილმა, ალექსანდრე ეშიბაიამ, პეტრე ქავთარაძემ, თამარ ბარნაბიშვილმა და ვადაჭკორიამ ხუთ-ხუთი მანეთი, პატარაძემ 4 მან., სვიმონ მაჭავარიანმა, ნებიერიძემ, აკაკი ბარათაშვილმა, ალექსი გაბელიამ და ნატალია ვაჩეიშვილმა სამ-სამი მან. და მიხეილ ფაღავამ ორი მან. სულ 386 მან.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობა ულრმეს მადლობას მოახსენებს საღამოს გამმართველთ, ფულის შემომწირველთა და შემკრებთ.

სოც.-დემ. პარტიაში

რადგან კვირის ნომერში დაბეჭდილ ამ რეზოლიუციაში შეცდომა გაგვეპარა, მას ხელ ახლა ვბეჭდავთ შესწორებით.

ამიერ-კავკასიის სეიმის ს.-დემოკრატიულმა ფრაქციამ ერთ თავის კრებაზე განიხილა საკითხი ბაქოში მომხდარ ამბების შესახებ და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

1. გაეცნო რა ბაქოს ამბებს ს.-დემოკრატიული ფრაქცია, სასტიკათ ჰგმობს ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელ ბოლშევიკთა წრის პოლიტიკას, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა პროვოკაციულ გამოსვლებს და რომელსაც მოჰყვა თვით დემოკრატიის შიგნით სამოქალაქო ომი.

არსებულ პირობების გამო ეს სამოქალაქო ომი, არის ნაციონალურ სისხლის ღვრის დასაწყისი და ამავე დროს ზურგში მახვილს სცემს კავკასიის დემოკრატიას, რომელიც იმპერიალიზმის თავდასხმას იგერიებს.

2. მეორე მხრით გარედან ახლო მახლო ადგილებიდან ბაქოზე წამოსვლა, იმ წრეების მიერ დაწყებული, რომლებსაც უნდათ ისარგებლონ ბაქოს ამბებით, რომ ნაციონალური შუღლი და მტრობა უფრო გამწვავონ, ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონური ხასიათის არის და მას აუცილებლათ საშინელი შედეგები მოჰყვება.

დემოკრატიის განადგურება, ალვირწახსნილი ანარქია კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება და მთელ ამიერ-კავკასიაში თავისუფლების საქმის დაღუპვა, აი სამოქალაქო ომის აუცილებელი შედეგები.

3. ითვალისწინებს რა ყველა ამას, ს.-დემოკრატიული ფრაქცია არც ერთ მებრძოლ მხარეს მხარს არ უჭერს და მთელი ძალღონით იბრძოლებს იმ ზომების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართული იქნება შეიარაღებულ ძალით ბაქოს დემოკრატიის განადგურებისკენ.

რადგან იძულებული ვართ დამოუკიდებელი არსებობა დავიცვათ გარეშე მტრისაგან, ჩვენ მივმართავთ უპირველეს ყოვლისა ბაქოს ინტერნაციონალურ პროლეტარიატს და მთელი ამიერ-კავკასიის ყველა ერთა დემოკრატიას და მოვუწოდებთ ბოლო მოუღონ ამ საშინელ სისხლის ღვრას, კავშირი გასწყვიტონ ავანტიურისტებთან, წინააღუდგეს ძმათა სისხლის ღვრის გაგრძელებას და მთელი ძალა და ღონე ქვეყნის, რევოლიუციის და თავისუფლების დაცვას მოახმარონ".

მილიციონერთა შორის

27 მარტს მოხდა მე-7 სამილიციო უბნის მილიციონერთა კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ვ. ჯიბლაძე, განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: არჩევა მუდმივი თავმჯდომარისა, გადაყვანილ თავმჯდომარე პარკაძ.ს ნაცვლად არჩეული იქმნა ამხ. ჯიბლაძე. ამორჩევა კომისიისა, რომელმაც უნდა აწარმოოს საქმე მილიციონერთა შორის. არჩეულნი იქნენ წევრებათ: ბეჟაშვილი და ხობელავა: ამორჩევა უფროსისა უმცროს მილიციონერებზე—არჩეული იქნა ამხ. ბერაძე. საქმის მაწარმოებელის ადგილის დათმობაზე მწერალ პეტროვზე—კრებამ დაადგინა, რომ სთხოვოს კომისარს იშუამდგომლოს მილიციის უფროსის წინაშე პეტროვის დანიშვნაზე. უმცროსი მილ. სირაძის სახელმწიფო ფულის დაკარგვის გამო მოხსენება გააკეთა ამხ. კახელაშვილმა. კრებამ ამოირჩია სამი წევრისაგან შემდგარი კომისია. რომელმაც უნდა გამოიძიოს დაწვრილებით ფულების (3600 მ.) დაკარგვის საქმე სამი დღის განმავლობაში.

თავმჯდომარე ჯიბაძე.
მდივანი ხობელავა.

პროვინცია

ხიდისთავი (გურია). 27 მარტს დ. ხიდისთავში შესდგა მრავალ რიცხოვანი ქალთა კრება; კრებას ხელმძღვანელობდა ამხ. გოგოლი ბერეჟანისა. მან მოკლედ აუხსნა ამხ. ქალებს კრების მოწვევის საგანი, განუმარტა კრებას ის მოვალეობანი, რომელიც დღევანდელი ცხოვრების ვითარებამ დააკისრა ქალებს. „შიგნით დაწყებული ანარქია, გარედან მოსეული საშინელი მტერი, ორივე ეს ემუქრება ჩვენს ძვირფას თავისუფლებას, ემუქრება ჩვენს ძვირფას ქვეყანას, ჩვენს სიცოცხლეს. ყველა ამ ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე გაეშურენ ჩვენი ქმრები, ძმები, შვილები, რათა დაიხსნან ქვეყანა და რევოლიუცია განსაცდელისაგან. ჩვენ ვიცით რა ყოფა დაადგება, რა მწარე დღეები გაუთენდება მათ, ვინ იცის ეხლაც, აი ამ წუთში რა ტანჯვას და წამებას განიცდიან ისინი ბრძოლის ველზე.

იმათ დახმარება სჭირიათ, ეს კი ჩვენ, ქალებმა უნდა ვიკისროთ. თუ ისინი თავს სდებენ, სიცოცხლეს სწირავენ საქვეყნო საქმისთვის, ჩვენც ამ ქვეყნის შვილები ვართ, ჩვენც ვალდებული ვართ იმათთან ერთად მოვმართოთ ხელები თავდაცვისათვის. დავეხმაროთ მათ, რითაც კი შეგვეძლება და მით მოვიხადოთ ჩვენი მოქალაქობრივი ვალი სამშობლოსა და რევოლიუციის წინაშე. დღევანდელი ჩვენი კრების მიზანია—შეადგინოს ხიდისთავში ქალთა ცენტრალური ბიურო მამაკაცთაგან დამოუკიდებლად, რომელიც სხვადასხვა კუთხეებში გახსნის განყოფილებებს და, რომლის მორიგი საქმეა შესწავლა და დახელოვნება იმ გვარ საქმეებში, რაც თავდაცვისათვის არის საჭირო, მაგალითად დაჭრილებისა და ავათმყოფების მოვლა-სამსახური; ამ საქმეებში დახმარებას გვპირდება როგორც ადგილობრივი ფერშლები, ისე სხვა გამოცდილი პირები". ასე დაათავა მან თავისი სიტყვა. ამის შემდეგ ქალთა მიმართ „მოწოდება" წაუკითხა ოცის თედორაძისამ. შემდეგ აირჩიეს ხელმძღვანელი ბიუროს წევრები, თერთმეტი ქალისაგან შემდგარი.

„რადიკალი".

ახალსოფელი (გორის მაზრა). 25 მარტს აქ შესდგა მიტინგი. ჩვენ, ახალსოფლის საზოგადოების და ბობნევის გლეხებს თავ-ზარი დაგვცა ცხინვალის ყაჩაღთა ბრბოს მოქმედებამ. ჩვენ, ოსებს, და მთიულ ქართველებს გული მოგვიკლა ძვირფას ამხანაგ სანდრო კეცხოველის, გიორგი მაჩაბელის და იმათ ამხანაგების სიკვდილის ამბავმა. ესენი ჩვენი ძმები იყვნენ, ჩვენთვის იბრძოდენ ჩვენ გლეხების, მუშა ხალხის სასარგებლოდ. ამხანაგ სანდრო კეცხოველმა თავისი სიცოცხლე ციმბირში გაატარა ჩვენი გულისათვის. ებრძოდა უკანასკნელ სიცოცხლის წუთამდის ჩვენ თავისუფლების! [illegible] პროვოკატორებს. გიორგი მაჩაბელი და მისი ამხანაგები, [illegible] ველში ისეთივე მუშაკნი იყვნენ, როგორც სანდრო კეცხოველი. გიორგი მაჩაბელი მართალია, თავადიშვილი იყო შთამომავლობით, მაგრამ ჩვენ ვიცოდით რომ ის თავადების წინააღმდეგი იყო ჯერ 1905 წლებში ძველ რეაქციას და ბატონებს ებრძოდა, რისთვისაც დაუნგრიეს სახლ-კარი ს. ქურთაში იყო დაჭერილი რამდენჯერმე. რისთვის? განა იმას ის არ უნდოდა, რომ ბატონობა აღარ ყოფილიყო. იმას საშინლად ეჯავრებოდა ბატონობით ლაპარაკი. არ გაგვიგია, რომ იმას გლეხისაგან ღალა აეღოს. ჩვენ, სუყველანი ოსებიც და მთიულებიც ზიზღს ვუცხადებთ სანდრო, გიორგი და იმათ ამხანაგების მკვლელებს. იმ საზიზღარმა მკვლელებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველას გამოგვჭრეს ყელი. იმ ამხანაგების ხსოვნას კი, რომლებიც დაასაფლავეს გუშინ და დღეს არ დავივიწყებთ ჩვენს სიცოცხლეში და დავსტირით მთელ ქართველ ერთან ერთად.

ჩვენ საზოგადოებებში სრული სიმშვიდეა და არაფერი შურის საძიებელი არ აქვთ ჩვენს ოსებს ქართველებთან. როგორც ჰაერია საჭირო, ისე ქართველების და ოსების კავშირია საჭირო. ამისთვის ვთხოვთ ქართველ ამხანაგებს გამოგზავნონ ხშირად თავიანთი პროპაგანდისტები, რომ აუხსნან ხალხს, თუ ვისგან მოხდა ცხინვალის ამბები. ამასთანავე ვთხოვთ ქართველ საზოგადოებას არ დაგვიშალონ, როგორც გზებზე ალაგობრივ ისე ქართლშიაც. ვინც ჰყავთ დაჭერილები, ისინი კი გამოუშვან, რომ ისევ ისე გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორც აქამდისინ გვიყვარდა. ჩვენში პროვოკატორულ ნიადაგს ადგილი არ ექნება. ზიზღი იმ პროვოკატორებსაც, რომლებიც საფრთხეს უმზადებენ თავისუფლებას. იმათ უნდათ აღადგინონ ისევ ბატონობა.

ხიონ.

ცნობები

ჯარისკაცთა შესახებ.

ჯარისკაცი მე-445 ხარკოვის დრუჟინის მე-2 როტისა გიორგი (სანდრო) ხუბულაშვილის ამბავი ეს შვიდი თვეა რაც მისმა ცოლშვილმა და მოკეთეებმა არ იციან. ვთხოვთ ვინც რაიმე იცის მის შესახებ აცნობოს შემდეგი მისამართით: თფილისი, არსენალი კოწია კოპალეიშვილი.

ფონდი

მივიღეთ მოსე ლუარსაბის ძე არეშიძისაგან რესტ. „ფრასკატში" მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 25 მან. „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლად.

დაიკარგა
ვერცხლის რედიკული ოქროს მონოგრამებით. შიგ იყო ორი მოწმობა მწვანე და თეთრი. მპოვნელს ვსთხოვ მოწმობები მაინც დამიბრუნოს. ჩემი ადრესი: განმანაწილებელი პუნქტი, მოწყალების და ნინა ბაზიეროვისა.

სახალხო სახლი
სახ. სახ. არს. ქართვ. წარ. მმარ. წრე
სამშაბათს, 3 აპრილს 1918 წ.
წარმოდგენილი იქნება:
№ 21 †
ნომერი ოცდაერთი ჯვრით
დრამა 4 მოქ. ია ეკალაძესი.
[illegible] 1907 წ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არჯევანიძე, თ. გოგოლაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ნ. ნინონი; ბბ. ნ. გოცირიძე, ვ. მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ს. რომანიშვილი, სალაყაია, ა. თავდგირიძე, გ. ჯაბაური, ამბ. ივერელი, ვ. კობახიძე, ალ. შანშიაშვილი და ნ. ჭანკვეტაძე.
დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.
ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 35 კ.-დე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე.
შემდეგი წარმოდგენა 8 აპრილს.
რეჟ. კ. შათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე. (2—2)

ექიმი
ზ. დონხინი
ყოფილი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ჩუბაძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.